

International bilingual journal in
Humanities & social Sciences

Millennium

მილენიუმი

Academy for Digital
Humanities - Georgia

Vol.2
2024

The Peer-reviewed Bilingual Scientific Online Journal of the Academy for Digital Humanities

in Humanities and Social Science

დიגיტალური ჰუმანიტარის აკადემია - საქართველოს

ორენოვანი საერთაშორისო ახალგაზრდული სამეცნიერო რეფერირებადი ონლაინჟურნალი

მილენიუმი

Millennium

Volume 2

Tbilisi / თბილისი

2024

The peer-reviewed bilingual scientific online journal **Millennium** was initiated by the founders of the Academy for Digital Humanities and is designed for young researchers working in Humanities and Social Sciences – master students, doctoral students and postdocs. Millennium aims to promote the academic development of a new generation of scientists by creating an academic platform for young researchers working in the Humanities and Social Sciences to publish scientific papers.

დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგუური სამეცნიერო ჟურნალი „მილენიუმი“ დაარსდა დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის დამფუძნებელთა მიერ და განკუთვნილია ჰუმანიტარიისა და სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ახალგაზრდა მკვლევართათვის - მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტებისათვის. ჟურნალი „მილენიუმი“ მიზნად ისახავს მეცნიერთა ახალი თაობის აკადემიური განვითარების ხელშეწყობას - ჰუმანიტარულ დარგებსა და სოციალურ მეცნიერებებში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის აკადემიური პლატფორმის შექმნას სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

Scientific Council:

Chairman of the Scientific Council: Manana Tandaschwili (Germany)

Members of the Scientific Council: Jost Gippert (Germany), Gerd Carling (Germany), Iryna Gurevych (Germany), Sergey Kim (Switzerland), Emzar Jgerenaia (Georgia), Vakhtang Litcheli (Georgia), Nana Loladze (Georgia), Rati Skhirtladze (Georgia)

Secretary of the Scientific Council: Sarah Dopierala (USA)

სამეცნიერო საბჭო:

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: მანანა თანდაშვილი (გერმანია)

სამეცნიერო საბჭოს წევრები: იოსტ გიპერტი (გერმანია), გერდ კარლინგი (გერმანია), ირინა გურევიჩი (გერმანია), სერჯეი კიმი (შვეიცარია), ემზარ ჯგერენაია (საქართველო), ვახტანგ ლიჩელი (საქართველო), ნანა ლოლაძე (საქართველო), რატი სხირტლაძე (საქართველო).

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: სარა დოპიერალა (აშშ)

Editorial Board:

Mariam Kamarauli (Editor-in-Chief), Eka Kvirkvelia (Editor), Mzia Khakhutaishvili, Maia Kuktchishvili, Ketevan Datukishvili, Mariam Rukhadze, Giorgi Jgharkava (Executive Secretary), Mariam Gobianidze, Zviad Zalikian.

სარედაქციო საბჭო:

სარედაქციო საბჭო: მარიამ ყამარაული (მთავარი რედაქტორი), ეკა კვირკველია (რედაქტორი), მზია ხახუტაიშვილი, მაია ქუჭიშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, მარიამ რუხაძე, გიორგი ჯღარკავა (აღმასრულებელი მდივანი), მარიამ გობიანიძე, ზვიად ზალიკიანი.



დიგიტალური
ჰუმანიტარიის
აკადემია

© Academy for Digital Humanities - Georgia
© დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია - საქართველო

ISSN 2960-9887 (Online)

Content / სარჩევი:

I. Digital Kartvelology / დიგიტალური ქართველოლოგია

Giorgi Jgharkava, *Digital Processing of Proverbs in Kartvelian Languages – Theoretical and Technological Framework* 5

გიორგი ჯღარკავა, ქართველურ ენათა ანდაზების კვლევა ციფრულ ეპოქაში – თეორიული და ტექნოლოგიური ჩარჩო

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>

Mariam Kamarauli, *Digital Methods of Comparative Manuscript Research: The Martyrdom of St. Febronia* 44

მარიამ ყამარაული, ხელნაწერთა შედარებითი კვლევის დიგიტალური მეთოდები: წმ. ფებრონიას წამება

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7992>

David Maisuradze, *Georgian Paleographic Fonts and their Role in Scientific Studies* 66

დავით მაისურაძე, ქართული კალიგრაფიული შრიფტები და მათი მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევებისათვის

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7993>

II. Corpus Linguistics / კორპუსლინგვისტიკა

Mariam Gobianidze, *The Issue of Equivalence of Aphorisms in the English Translations of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" (based on one aphorism)* 84

მარიამ გობიანიძე, აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ერთი აფორიზმის მაგალითზე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

Julian Hasche, *Corpus-linguistic Analysis of Verba Sentiendi in „Vepxistqaosani“ in Georgian and Basque* 102

იულიან ჰაშე, გრძნობა-აღქმის ზმნების კორპუსლინგვისტური ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ დედანსა და პოემის ბასკურ თარგმანში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7997>

Mariam Rukhadze, *Semantical Analyses of Deverbal Functional Elements from a Corpus-linguistic Point of View* 119

მარიამ რუხაძე, ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7999>

III. Language Technologies / ენის ტექნოლოგიები

Marc-Daniel Rahn, *Can Counting Words make Sense? A Simple Application of Visual Tools for Basic Machine Learning in Linguistics* 138

მარკ-დანიელ რანი, აქვს თუ არა სიტყვების დათვლას აზრი? ვიზუალური ხელსაწყოების მარტივი გამოყენება საბაზისო მანქანური სწავლებისათვის ლინგვისტიკაში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8000>

IV. Political Linguistics / პოლიტიკური ლინგვისტიკა

Tatia Tstetskhladze, Anastasia Kamarauli, *Contemporary Georgian Political Speech from Gender and Party Perspectives* 160

თათია ცეცხლაძე, ანასტასია ყამარაული, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველება გენდერულ და პარტიულ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8002>

V. Comparative literature studies / შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

Nino Sabadze, *The Problem of the Face of the Dragon in Caucasian and European Mythological-epic texts* 194

ნინო საბაძე, გველეშაპის სახის პრობლემა კავკასიურ და ევროპულ მითოეპიკურ ტექსტებში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8003>

VI. History / ისტორია

Ioseb Schengelia, *On the History of a Castle in Samegrelo (Chakvinji Castle)* 215

იოსებ შენგელია, ერთი ციხესიმაგრის ისტორიისათვის სამეგრელოში (ჭაკვინჯის ციხე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8004>

Digital Processing of Proverbs in Kartvelian Languages – Theoretical and Technological Framework

Giorgi Jgharkava

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>
giorgi.jgharkava@tsu.ge || ORCID: [0000-0002-4979-3019](https://orcid.org/0000-0002-4979-3019)

Abstract: One common aspect of intangible legacy is language. Texts with a variety of genres and contents are the tools through which language is realised. Proverbs should receive particular consideration among these tools since they bear distinctive national characteristics. The creation of a database of proverbs of the Kartvelian languages (Georgian, Megrelian, Laz and Svan) and the implementation of linguocultural research using this database is especially interesting and topical, because it proves the genetic unity of these languages and the existence of a common cultural-mental and linguistic space of the Georgian people. The Kartvelian languages, as well as communities, are closely related. Therefore, essential differences between the proverbs of the Kartvelian languages are rare. Differences are due to the geographical location, local rites and customs, specifically toponyms and anthroponyms, as well as other local features. All this has been reflected in the proverbs. The comparison and harmonisation of Kartvelian proverbs based on their semantic equivalence is a significant resource for interdisciplinary research. The theoretical and technological framework for the digital processing of proverbs in the Kartvelian languages are discussed in this paper.

Keywords: Proverbs, Kartvelian Languages, Digital Processing of data

Language is a universal form of intangible heritage. The means of realization of language are texts of diverse genres and content. Out of these, special attention should be paid to proverbs because they are marked with peculiar national features. Proverbs represent specific aspects of life, culture and history of a given nation. Proverbs are distinguished by the ability to preserve the most ancient encoded information. Therefore, research of proverbs is important for the study of national intangible culture and for further development and promotion of the given field. Human wisdom and the system of perspectives concentrated in proverbs determine the core nature of a certain culture. Thus, the structural-semantic analysis of proverbs demarcates the general picture built upon the common beliefs, viewpoints and global perspectives of a certain society.

Creation of a database of proverbs of Kartvelian (Georgian, Megrelian, Laz and Svan) languages and implementation of linguocultural research using this database is especially interesting and topical, because it proves the genetic unity of Kartvelian languages and the existence of a common cultural-mental and linguistic space of the Georgian people. Kartvelian languages, as well as communities, are closely related. Therefore, essential differences between the proverbs of Kartvelian languages are rare. Differences are due to the geographical location, local rites and customs, specifically toponyms and anthroponyms, as well as other

local features. All this has been reflected in the proverbs. Comparison-harmonization of Kartvelian proverbs based on their semantic equivalence is a significant resource for interdisciplinary research, since proverbs are interesting not only linguistically, but also from the viewpoint of folklore, ethnography, ethnopsychology, sociolinguistics, psycholinguistics, translation and cultural studies etc. A proverb represents important empirical material for general typological research as well, because a proverb is characterized by isomorphism and allomorphy, variance and invariance.

In the modern digital age, the acquisition and processing of relevant empirical material is strongly tied to the use of the latest technologies and methods, which is why interdisciplinary studies based on extensive empirical material are moving to a new stage. Considering the recent scientific literature created in the field of Paremiology (Moreno 2005; Mieder 2010, 2013, 2022; Coinnigh 2014; Lewandowska, Antos 2014; Pavlović 2016; Sergienko 2016 etc.), it is clear that the existence of digital resources of proverbs and the study of paremies by corpus linguistic methods open up new research perspectives. Against the background of all the above, the creation of an electronic database of Kartvelian proverbs is important not only for the development of thematic corpora, but also for the implementation of corpus-based and/or corpus-driven studies. Theoretical and technological framework for digital processing of proverbs in Kartvelian languages are discussed in the paper.

ქართველურ ენათა ანდაზების კვლევა ციფრულ ეპოქაში – თეორიული და ტექნოლოგიური ჩარჩო

გიორგი ჯღარკავა

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>

giorgi.jgharkava@tsu.ge || ORCID: [0000-0002-4979-3019](https://orcid.org/0000-0002-4979-3019)

შესავალი

ანდაზა განსაკუთრებული ენობრივ-კულტურული და მენტალური ფენომენია, რის გამოც, ანდაზის კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალურია არა მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სხვა დისციპლინათა პერსპექტივიდანაც; მათ შორის წამყვანი ადგილი ლინგვისტურ ანალიზს უჭირავს, რადგან ენაშია გაცხადებული ერის ყოფა-ცხოვრების, ისტორიისა და კულტურის სპეციფიკური ნიშნები. ანდაზა უძველესი კოდური ინფორმაციის შემცველია. ამავდროულად, იგი ხალხური ზეპირსიტყვიერების ისეთი ჟანრია, რომელიც ზეპირმეტყველებაში დღესაც გვეძლევა. ანდაზაში კონცენტრირებულია საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, სიბრძნე, მაღალხეობრივი და აღმზრდელობითი დარიგებები. ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მორალი და შეგონება ხშირად კულტურულ-სპეციფიკური ნიშნითაც არის შეფერილი, რაც იძლევა საშუალებას ერთმანეთს შეერწყას ანდაზისთვის ბუნებრივი იზომორფიზმი და ალომორფიზმი, ვარიანტულობა და ინვარიანტულობა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ქართველურ ენათა ანდაზებისა და მათში ასახული კულტურულ-მენტალური ფენომენების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი და საერთო-ქართველური ანდაზური ფონდის კომპლექსური კვლევა.

ანდაზა, როგორც ინტერდისციპლინური ფენომენი, დიდი ხანია მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის ობიექტია. ამა თუ იმ ენის ანდაზურ ფონდში განსხვავებულ ხალხთა და კულტურათა არსებითი მახასიათებლებია ასახული, რის გამოც ანდაზების მიმართ ინტერესი დღემდე არ განელებულა. ანდაზების ინტერდისციპლინური შესწავლა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს, რაზედაც ამ უკანასკნელ ხანებში შედგენილი ბიბლიოგრაფიებიც მიუთითებს, რომლებშიც პარემიოლოგიის (resp. ანდაზათმცოდნეობის) დარგში შექმნილი

ასეულობით სამეცნიერო ნაშრომია გაერთიანებული¹. ამასთან, პარემიოლოგიური კვლევების აქტუალურობას ადასტურებს ისიც, რომ არსებობს „პარემიოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია“ (AIP-IAP – International Association of Paremiology), რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად იმართება ინტერდისციპლინური კოლოკვიუმი ანდაზების თემატიკაზე (<http://www.colloquium-proverbs.org/icp/en/>). უცხოენოვანი, უმეტესწილად ბოლოდროინდელი, სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ნათლად აჩვენებს, რომ სხვადასხვა ენის ანდაზური ფონდის ანალიზისას ყურადღება მახვილდება ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორცაა ანდაზების სემიოტიკური და სემანტიკური (Lundberg 1958; Norrick 1985; Grzybek 2014), სტრუქტურული (Levin 1968; Silverman-Weinreich 1981; Coinnigh 2014), პრაგმატიკული და სტილისტიკური (Briggs 1985; Jesenšek 2014), კოგნიტური (Moreno 2005; Lewandowska, Antos 2014;) ასპექტები. ცალკე შესწავლის ობიექტია ანდაზები ლიტერატურასა (Dent 1984; Bryan, Mieder 1994, 1997; Mieder 2010, 2013) და მასმედიაში (Solano 2010; Konstantinova 2014).

ქართველურ ენათა ანდაზების შეკრებასა და მეცნიერულ კვლევას მდიდარი ისტორია აქვს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ანდაზებისაგან განსხვავებით, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზები, მით უფრო კონტრასტული ანალიზის პრინციპებით, ნაკლებადაა შესწავლილი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ცალკეულ ნაშრომს. გარდა ამისა, თანამედროვე პროგრამული და ტექნოლოგიური საშუალებები ანდაზების სისტემური შესწავლის ახალ შესაძლებლობებს აჩენს. ამიტომ, საშურია, ერთი მხრივ, ქართველურ ენათა ანდაზური ფონდის შედარებითი კვლევა საერთოქართველური ენობრივ-კულტურული სურათის სრულყოფის მიზნით; მეორე მხრივ, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ქართველურ ენათა პარემიოლოგიური მასალის ჩართვა საერთაშორისო ინტერდისციპლინური კვლევების კონტექსტში, რაც, კვლევის შედეგების სანდოობის გაზრდასთან ერთად, ქართველოლოგიის მეტ ინტერნაციონალიზაციასაც უზრუნველყოფს.

1. საანალიზო ემპირიული მასალის მიმოხილვა

ემპირიული მასალის შეკრება და გამოცემა დიდად უწყობს ხელს მეცნიერულად მის დამუშავებასა და შესწავლას. ამ თვალსაზრისით არ არის ერთგვაროვანი სურათი ქართველურ ენათა ანდაზებს შორის; კერძოდ, ქართული

¹ მაგალითისთვის იხ. Mieder 2022.

ანდაზების ბეჭდური გამოცემები და მონაცემთა ბაზები ჭარბობს სხვა ქართველური ენებისას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების შეკრება და გამოცემა დიდი ხნის წინ დაიწყო, მთლიანად ქართველური ენები ამ კუთხით ჩამორჩება სხვა, განსაკუთრებით ევროპულ ენებს².

1.1 ქართველურ ენათა ანდაზების შეკრებისა და გამოცემის ისტორია (მოკლე მიმოხილვა)

ქართული ანდაზების შეკრება და გამოცემა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლასთან³; მცირე კრებულები პირველად XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე გამოჩნდა. ამ პერიოდში ქართული ანდაზების შეკრება-გამოცემა დ. ბაგრატიონის სახელს უკავშირდება. მის მიერ შეგროვებული ასზე მეტი ქართული „გალექსილი ანდაზა“ ხელნაწერთა კოლექციების სახით ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის S3723 ფონდში. მოგვიანებით, მ. ჩიქოვანმა მიაგნო დ. ბაგრატიონის „გალექსილი ანდაზების“ დამატებით კიდევ რამდენიმე ხელნაწერს და საგანგებოდ შეისწავლა ისინი (ჩიქოვანი 1948)⁴.

მე-19 საუკუნეში განსაკუთრებით გააქტიურდა ქართული ანდაზების შეკრება-გამოცემისა და მეცნიერული შესწავლის საქმე, რომელშიც მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: დ. ჩუბინაშვილი⁵, პლ. იოსელიანი⁶, პ. უმიკაშვილი⁷, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე⁸, ს. მერკვილაძე⁹ და სხვები. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის შესწავლამ ცხადყო, რომ იქ არსებულ ცალკეულ ხელნაწერებში არა-

² ევროპული ენების ანდაზების გამოცემათა სტატისტიკა ასახულია ბოლოდროინდელ ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში (მაგალითისთვის იხ. Mieder 2012, 2022).

³ ქართული ანდაზების შეკრების მდიდარი ისტორია (1829-1901 წლების მონაცემები) მოცემულია ქართული ფოლკლორის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში (ვირსალაძე და სხვები 1973).

⁴ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ზანდუკელი 1961.

⁵ დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის 1846 და 1863 წლებში გამოქვეყნებული ანდაზების ნიმუშები.

⁶ 1835 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული ანდაზებისა და გამოცანების რვეული, რომელიც პლ. იოსელიანს ეკუთვნის, 1948 წელს გამოაქვეყნა მ. ჩიქოვანმა.

⁷ პ. უმიკაშვილის მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი ფოლკლორული მასალა, მათ შორის, ანდაზები იხ. ნაშრომებში: უმიკაშვილი 1876, 1937, 1964.

⁸ ჭავჭავაძესა და ერისთავს შეუკრებიათ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და გამოუციათ სახელწოდებით: „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ (თფილისი, 1873).

⁹ ფოლკლორისტ ს. მერკვილაძის მიერ გამოქვეყნებული ხალხური ანდაზები და გამოცანები ქართული ანდაზების ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი პუბლიკაციაა (იხ. მერკვილაძე 1898).

ერთი ფოლკლორული ნიმუში, მათ შორის ანდაზებიცაა წარმოდგენილი (ოქროშიძე 1948:405-421). ქართული ანდაზების ერთ-ერთი გამომცემელი დ. ჩუბინაშვილიცაა; 1846 წელს გამოქვეყნდა მისი „ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ“ (პირველი ნაწილი: პროზა), რომელშიც ანბანის რიგზე დალაგებული ქართული ანდაზებია მოცემული. შინაარსის უკეთ გასაგებად ზოგიერთ ანდაზას ახლავს დამატებითი კომენტარი (ჩუბინაშვილი 1846:378-394; 456-458).

ქართული ანდაზების შეკრების საქმეში ასევე განსაკუთრებული როლი შეასრულეს: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ¹⁰, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ¹¹, ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა; ამასთან, კავკასიის სასწავლო ოლქის რამდენიმე პერიოდულმა გამოცემამ: „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, „Сборник сведений о кавказе“ და სხვ¹².

ანდაზების შეკრება-შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანია იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების როლიც. გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალებში („მოამბე“ „ივერია“, „ცისკარი“, „ჯეჯილი“) პერიოდულად იბეჭდებოდა ქართული ანდაზები. ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა გალექსილი ქართული ანდაზები (148

¹⁰ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლზე ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საზოგადოების შექმნიდან მალევე ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, პეტრე უმიკაშვილს და სხვებს საგანგებოდ შეუდგენიათ „პროგრამმა ხალხური სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება და საუბარია როგორც ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრების მნიშვნელობაზე, ისე ჩამწერის მიერ საგანგებო წესების დაცვაზე, ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებთა კლასიფიკაციაზე და სხვ. (ვრცლად იხ. ოქროშიძე 1948:405-421).

¹¹ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, სახელწოდებით „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით 1909-1915 წლებში გამოდიოდა. ჯამში დაიბეჭდა 4 ტომი; I, II და III ტომებში ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრთან ერთად ქართველურ ენათა ანდაზებიცაა წარმოდგენილი (იხ. ტ. I, განყოფ. IV, გვ. 97-100; ტ. II, განყოფ. IV, გვ. 344-349, განყოფ. V, გვ. 86-114; ტ. III, გვ. 276-307). აღსანიშნავია, რომ „ძველი საქართველოს“ I, II და III ტომებიდან ამოღებული მასალა ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ცალკეც დაიბეჭდა და მიეძღვნა აკაკი წერეთლის ხსოვნას (იხ. ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, 1915-1917).

¹² გარდა დასახელებული წყაროებისა, ქართული ანდაზები ხშირად ქვეყნდებოდა XIX-XX საუკუნეების პერიოდულ პრესაში. მაგალითისთვის იხ. ჟურნ. „Гусли“, №20, 1882 წ., გვ. 4; №24, 1882 წ., გვ. 13 (ბალანჩივაძე და სხვები 2019).

ერთეული) ამგვარი სათაურით: „სხუა და სხუა ანდაზანი ხმარებულნი ხალხთაგან“ („ცისკარი“, №2, 1853 წ., გვ. 43-58)¹³. ქართული ანდაზების შეკრებასა და გამოცემაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ საზოგადო მოღვაწე-მწერლებს: აკაკი წერეთელს¹⁴, იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას¹⁵, ალექსანდრე ყაზბეგს, თედო რაზიკაშვილსა და სხვებს. ისინი არა მხოლოდ აგროვებდნენ ანდაზებს, არამედ აქტიურადაც იყენებდნენ პრაქტიკული საჭიროების მიხედვით. იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამდა ანდაზების დიდაქტიკურ შინაარსს, მათ საგანმანათლებლო მნიშვნელობას და პოპულარიზაციის მიზნით არაერთი ანდაზა ჩართო „დედაენაში“¹⁶.

ქართული ანდაზების სისტემატიზაცია მე-20 საუკუნეშიც ახალი ძალითა და შემართებით გაგრძელდა ამავე საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა – ალ. ხახანაშვილის, მ. კვლენჯერიძის, ივ. გომელაურის, ნ. კეცხოველის, გ. ლომთათიძის, ი. ქავთარაძის, ლ. მეტრეველის, დ. თურდოსპირელის, ე. გაბრიჩიძის, თ. სახოკიას, ალ. ღლონტის, ა. კანდელაკის და სხვათა ხელშეწყობითა და დაუღალავი მუშაობით. დიდძალი მასალაა შესული საქართველოს ეროვნულ არქივში შენახულ „ზეპირსიტყვაობის შემკრების წრის რეველში“ (დოკუმენტის მოცულობა 250 გვერდზე მეტია), რომელიც ცნობილ პედაგოგს ივ. გომელაურს XX საუკუნის დასაწყისში შეუდგენია. მისივე ხელნაწერ ტექსტში პირველივე გვერდზე ვკითხულობთ: „ქ. ჭიათურაში, სადაც მე თორმეტი წელიწადს ვიყავ ქართული ენის მასწავლებლად (1905-1917 წ.წ.), ხსენებულ წლებში შევადგინე

¹³ XIX-XX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ანდაზების შესახებ დამატებით იხ. ვირსალაძე და სხვები 1973.

¹⁴ ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა 1871 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ა. წერეთლის წერილი, რომლის ადრესატია გაზეთის რედაქტორი. წერილის ავტორი მკითხველს ატყობინებს, რომ ალექსანდრე წერეთელს ჰქონია „ერთი ხელთნაწერი რეველი, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა ანდაზებს, შეკრებულს მამის მისის თ. გრიგოლ წერეთლისაგან. ეს ანდაზები ანაბანაზედ არიან დაწობილი“ (წერეთელი 1871:2-3).

¹⁵ ძალზე საინტერესო მასალას შეიცავს ვაჟა-ფშაველას მიერ 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში წარმოდგენილი ჩანაწერები „ფშაველი და მისი წუთისოფელი“. ეთნოგრაფიულ მოთხრობებთან ერთად ავტორს გამოქვეყნებული აქვს 167 ანდაზა (იხ. ტ. II, განყოფ. IV, გვ. 344-349).

¹⁶ ანდაზების პოპულარიზაციას ემსახურება გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ცნობა ახალი ტიპის ლოტოს გამოგონების შესახებ. „ლოტო ანდაზებით“ იყო თამაშის სახეობა; კერძოდ, „ამ ლოტოში ციფრის მაგიერ ამოიკითხება პირველი ნახევარი ანდაზისა, ხოლო მეორე ნახევარი თვით ქალაღზეა დაწერილი, იმ ქალაღზე, რომელიც ურიგდება მოთამაშეებს... სასარგებლოც არის და სასიამოვნოცაო, ამ გვარს ლოტოზე ითქმის“ („ივერია“, №84, 1886 წ., გვ. 2).

წრე, რომლის წევრებსაც ჩემთან ერთად შეჰქონდათ თავიანთ სოფელში გაგონილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. იქიდან წამოსვლის შემდეგ მე გავავსე რვეული ჩემი შეკრებილი ლექსებით და ანდაზებით“ (საისტორიო ცენტრალური არქივის კოლ. 1446, №689). საქართველოს ეროვნული არქივი ინახავს აგრეთვე გ. ჟორდანიას პირად ფონდში დაცულ რამდენიმე ანდაზას (კოლ. 1813, №282, კოლ. 1813, №284).

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ცალკეული ანდაზები და ანდაზების კრებულები ხშირად კრიტიკის საგანი ხდებოდა. მაგალითად, ლ. მეტრეველის „ქართული ანდაზების“ გამოცემას (1926 წ.) მალევე გამოეხმაურა ა. ჭყონია გაზეთ „კომუნისტში“ 1926 წლის 15 იანვარს დაბეჭდილი წერილით. ავტორი კრებულში ზოგიერთი ანდაზის ჩართვას უარყოფითად აფასებდა; მისი თქმით, აღნიშნული ანდაზები სოციალურ უთანასწორობასა და ცრუმორწმუნეობას ქადაგებდა, ხელს უწყობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას (ჭყონია 1926:5)¹⁷. ლ. ლეჟავამ სპეციალური წერილი მიუძღვნა ქართული ანდაზების გამოცემის საქმეს. მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა თ. სვინტიძის მიერ შედგენილი „ქართული ანდაზები“ (1955 წ.); შემდგენელს მიუთითა გამოცემის რამდენიმე ნაკლზე; მათ შორისაა ერთი და იმავე ანდაზის გამეორება სხვადასხვა ადგილას, ანდაზების თვითნებური „შესწორება“: სიტყვათა კლება-მატება და მისთ. (ჟურნ. „მნათობი“, №7, 1956 წ., გვ. 177-181).

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე ქართული ანდაზები ბეჭდურად რამდენჯერმე გამოიცა. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი კრებულები: „რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“ (შემდგენელი აღ. ღლონტი, თბილისი, 1957), „ქართული ანდაზები“ (შემდგენელი ა. კანდელაკი, თბილისი, 1959), „ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები“ (ხალხური სიბრძნე V, ანდაზებისა და ლექსიკონის შემდგენელი ლ. ლეჟავა, თბილისი, 1965), „ქართული ანდაზები და გამოცანები“ (შემდგენლები ზ. თანდილავა და სხვები, ბათუმი,

¹⁷ მაგალითისთვის, ა. ჭყონიას საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი ანდაზა: „თუ კაცსა ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებო“ (ჭყონია 1926:5). კომუნისტური იდეოლოგიის გავლენით დაწერილი ზემოხსენებული კრიტიკული წერილის პარალელურად საინტერესოა ა. მაკარაძის რეცენზიაც, რომელიც აღ. ჩავლეიშვილის კრებულს „ანდაზები, აფორიზმები“ მიმოიხილავს. რეცენზენტი წერს: „ოცდამეხუთე განყოფილებაში წარმოდგენილია ანდაზა „თუ ნაკლოვანებებზე ილაპარაკებ, მეგობრები ნაკლები გეყოლება“ (მაკარაძე 1978:4). შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ კომუნისტური მორალი გვასწავლის, რომ ეს ასე არ უნდა იყოს“. ცხადია, ამგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო, ობიექტურობისგან დაცლილი და იდეოლოგიურად მოტივირებული კრიტიკა საინტერესოა მხოლოდ საკითხის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით.

1976), „ქართული ანდაზები“ (ჩაიწერა და დაამუშავა ვ. ხორნაულმა, თბილისი, 1984), „რჩეული ქართული ანდაზები“ (შემდგენელი კ. ჯორჯანელი, თბილისი, 2003), „ქართული ხალხური ანდაზები“ (რედაქტორები: ი. ბაქრაძე, რ. დარჩიაშვილი, თბილისი, 2008), „ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები)“ (ჩხენკელი და სხვები, თბილისი, 2009), „ქართული ანდაზები“ (შემდგენელ-რედაქტორი ლ. ანდრონიკაშვილი, თბილისი, 2014), „ქართული ანდაზები“ (თბილისი, 2016) და სხვ. საინტერესოა 2009 წელს დაბეჭდილი „მსოფლიოს ხალხთა ანდაზები და გამონათქვამები“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის (ესპანური, ინდური, კორეული, თურქული, ფრანგული, უკრაინული და სხვ.) ანდაზებთან ერთად ქართული მასალაცაა შესული. კრებულში მოცემული ანდაზები დალაგებულია როგორც ცალკეული ქვეყნის მიხედვით, ისე თემატური პრინციპით (კალანდაძე 2009)¹⁸.

ზემოთ დასახელებულ კრებულებში მასალის წარმოდგენის ყველაზე გავრცელებული პრინციპია ანდაზების დალაგება ანბანის რიგზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად სხვა მიდგომაც არსებობს. მაგალითად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში გამოქვეყნებულია ზ. გ. ბილანიშვილის მიერ 1883-1887 წლებში სოფ. პატარძულში შეკრებილი ვრცელი ეთნოგრაფიული მასალა, მათ შორის, 600-ამდე ანდაზა, რომელთა ნაწილი თემატური პრინციპითაა დალაგებული. კერძოდ, გამოყოფილია: ა) სამეურნეო ანდაზები; ბ) ანდაზები ამინდსა და დროზე („ძველი საქართველო“, 1913 წ., ტ. II, განყოფ. V, გვ. 86-114). გარდა ამისა, ანდაზების თემატურად დალაგების ცდა წარმოდგენილია თ. ბეგიაშვილის „ქართულ ფოლკლორში“ (1941 წ.). უნდა აღინიშნოს ალ. ჩავლეიშვილის მიერ შედგენილი „ანდაზები, აფორიზმები“ (1977 წ.); მასში წარმოდგენილია სხვადასხვა თემაზე (სიკეთე, მეგობრობა, სამშობლო, სილამაზე და სხვ.) შექმნილი ანდაზები და აფორიზმები. შემდგენლის მითითებით, მასალა ამოკრებილია ქართულ და რუსულ ენებზე არსებული წყაროებიდან, ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურიდან. ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე ვ. ჯავრიშვილის ნაშრომი „ანდაზები და ნაკვესები“ (1992 წ.), რომელშიც ავტორისეული ანდაზებია მოცემული. თემატიკის მიხედვით ანდაზების დაჯგუფების პრინციპი გამოყენებულია ბოლო დროს შექმნილ მონაცემთა ბაზაშიც (იხ. ბმული: <https://idioms.tsu.ge/>). უნდა შევნიშნოთ, რომ ანდაზების დალაგების ყველა პრინციპს აქვს დადებითი

¹⁸ აღსანიშნავია, რომ უცხო ენათა ანდაზების პუბლიკაციები ქართულ პრესაში მე-19 საუკუნიდან დასტურდება. მაგ., გაზეთ „ცნობის ფურცელში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია ეგვიპტური (1898 წ.), თათრული (1899 წ.) და სხვა ანდაზები (ვირსალაძე და სხვები 1973:11-12).

და უარყოფითი მხარეები. მაგ., ანბანთრიგზე ან სემანტიკურ ბუდეებად დალაგებისას მცირედით განსხვავებული ერთი და იმავე შინაარსის ანდაზა შეიძლება რამდენჯერმე გამეორდეს. საინტერესოა, რომ ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ხალხური სიბრძნის V ტომში (1965:21-237)¹⁹ წარმოდგენილ სემანტიკურად იდენტურ ანდაზებს ერთვის სპეციალური მინიშნებები, რათა მკითხველს შეეძლოს მარტივად მოძებნოს კონკრეტული ანდაზის მსგავსი სხვა ანდაზებიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შედარებით ნაკლებპოპულარულია ანდაზების დაჯგუფება მათი წარმოშობის დროის მიხედვით, რადგან უმეტეს შემთხვევაში ამგვარი კლასიფიკაცია მეტად პირობით ხასიათს ატარებს²⁰.

1829-1901 წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი და გამოქვეყნებული ფოლკლორული ნიმუშები, მათ შორის, ანდაზები შესულია ქართული ფოლკლორის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში (ვირსალაძე და სხვები 1973). ამჯერად დავასახელებთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ჩაწერილი დიალექტური თავისებურებების ამსახველი ანდაზების რამდენიმე პუბლიკაციას; ესენია:

ა) ს. გაჩეჩილაძის მიერ **იმერეთის** სოფ. წვევაში შეკრებილი და 1909 წელს გამოქვეყნებული „ანდაზები, ჩქარა სათქმელი²¹ და ზმა“ (იხ. „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I, გვ. 97-100).

ბ) **მესხური** ანდაზები და გამოცანები (შეაგროვა და 1895 წელს გამოსცა კ. გვარამაძემ)²².

გ) ა. კანდელაკის მიერ შედგენილი კრებულის („ქართული ანდაზები“, 1965 წ.) მეორე ნაწილში მოცემული მასალა ივ. ხორნაულს, ხალხური ზეპირსიტყვიერების დიდ მოამაგეს, **ფშავსა და ხევსურეთში** ჩაუწერია. მის მიერ შეკრებილი ანდაზები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იქცევა ყურადღებას

¹⁹ წიგნში შესულია 3231 ანდაზა. როგორც V ტომის წინასიტყვაობიდან ირკვევა, წარმოდგენილი მასალა ემყარება 60 ნაბეჭდ და 50 ხელნაწერ წყაროს (ლექვავა 1965:5-16).

²⁰ ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ, ანდაზების კრებულების გამოცემისას, ოპტიმალური ვარიანტი იქნება მასალა დალაგდეს არა ანბანური ან თემატური პრინციპით, არამედ კონცეპტების მიხედვით. ამ საკითხზე პირველად ყურადღება მიგვაქცევინა ასოც. პროფესორმა ს. ოშიაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

²¹ შესიტყვება „ჩქარა სათქმელი“ ავტორის მიერ გამოყენებულია ენის გასატეხის აღსანიშნავად.

²² ვრცელი ემპირიული მასალა, კერძოდ, მესხეთსა და გურიაში შეკრებილი ანდაზები და სიტყვის მასალები კ. გვარამაძის ავტორობით მოგვიანებითაც გამოიცა (იხ. „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, 1913-1914 წ.წ., ტ. III, გვ. 276-307).

ცნობილი ქართული ანდაზების კუთხური ვარიანტები, შინაარსობრივად შეცვლილი და//ან დიალექტიზმების შემცველი ანდაზები და სხვ.

დ) ცალკე წიგნად არის გამოცემული ა. მსხალაძის **აჭარული ანდაზები** (1984 წ.). წიგნში შესულია როგორც ავტორის მიერ შეკრებილი, ისე ფოლკლორული კრებულებიდან თუ ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ფონდიდან ამოწერილი ემპირიული მასალა; აღსანიშნავია, რომ ანდაზებს ერთვის ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებები.

ე) თ. შიოშვილის მონოგრაფიებში მოცემულია 26 **შავშური** (იხ. „შავშური ფოლკლორი“, 2016 წ.) და 90 **კლარჯული ანდაზა** (იხ. „კლარჯული ფოლკლორი“, 2017 წ.).

ქართველურ ენათა ანდაზების შეკრებისა და გამოცემის ისტორია, ქართულის გარდა, სხვა ქართველური ენების მონაცემების მიმოხილვასაც ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ალ. ცაგარლის განსაკუთრებით დიდი დამსახურება **მეგრული** ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში. 1834-1917 წლებში გამომავალ ჟურნალში – „Журнал Министерства народного просвещения“ (ЖМНП) – გამოქვეყნებულია ალ. ცაგარლის ვრცელი წერილი „1877 წლის ზაფხულში კავკასიის მხარეში მოგზაურობის შესახებ“. ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მოგზაურობის უმთავრესი მიზანი მეგრული მასალების შეგროვება იყო. ამ მოგზაურობის დროს მეცნიერს ზღაპრებთან, სიმღერებთან და სხვადასხვა გამონათქვამთან ერთად ანდაზებიც ჩაუწერია (ЖМНП, №194, 1877, გვ. 208-231). ალ. ცაგარლის შეგროვილი ნიმუშების ნაწილი რამდენიმე წლის წინ გამოსცა გამომცემლობა „იალონმა“ სახელწოდებით „მეგრული ხალხური ზღაპრები, ანდაზები, გამომცანები, სიმღერები“ (2020 წ.). მასში შესულია 28 მეგრული ანდაზა.

ჩვენ მიერ დასახელებულ პერიოდულ გამოცემაში – „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (СМОМПК) ქართულის გარდა შესულია **მეგრული** და **სვანური ანდაზებიც**, სულ 500-ამდე ერთეული. ქართულ, მეგრულ და სვანურ ანდაზებს პარალელურად ახლავს რუსული თარგმანი და ზოგჯერ სათანადო კომენტარებიც; აღსანიშნავია, რომ СМОМПК-ში წარმოდგენილი ქართველურ ენათა ანდაზები არა მხოლოდ თარგმნილია რუსულად, არამედ ზოგჯერ მათი რუსული შინაარსობრივი ეკვივალენტებიც არის დაძებნილი²³. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში ქართული

²³ СМОМПК-ს ცალკეული გამოცემების ელექტრონული ვერსიები იხ. ბმულზე: <https://books.google.com>

და მეგრული ანდაზები რუსულის გარდა სხვა უცხო ენაზეც ვრცელდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; მაგალითად, ცნობილია, რომ კავკასიის ხალხთა კულტურების შესასწავლად საქართველოში ჩამოსულმა ფრანგმა ჟურნალისტმა ჟიულ მურიემ თბილისსა და ზუგდიდში დიდი ხანი დაყო და ფრანგულ ენაზე მოგვიანებით გამოცემულ თავის წიგნში ჩართო რამდენიმე ქართული და მეგრული ანდაზის ფრანგული თარგმანი, ორიგინალის გარეშე (ბრეგაძე 2013, 2020). 1903 წელს პარიზში გამოვიდა თ. სახოკიას *Les proverbes Géorgiens* („ქართული ანდაზები“); შემდგენელ-გამომცემელს წარმოდგენილი აქვს ქართული ანდაზების ფრანგული თარგმანები. ცალკე გამოცემული ეს პუბლიკაცია ევროპაში უფრო ადრე ფრანგულ ჟურნალში „Revue des Traditions Populaires“ დაბეჭდილ მასალებს; კერძოდ, 818 ქართული ანდაზის ფრანგულ თარგმანს ორიგინალი ტექსტის გარეშე (ბრეგაძე 2020:416). ფრანგულ ენაზე გამოცემული ქართული ანდაზები თ. სახოკიას მიერ დალაგებულია თემატურ ჯგუფებად.

მეგრული ანდაზების 127 ერთეული მოცემულია ი. ყიფშიძის შედგენილ ქრესტომათიაში, რომელიც ახლავს რუსულ ენაზე გამოცემულ მეგრული ენის გრამატიკას (Кипшидзе 1914:418-463). თ. სახოკიას ჩაწერილი „მეგრული ანდაზები და გამოთქმები“ აერთიანებს გასული საუკუნის 900-იან წლებში მოძიებულ 436 ანდაზას²⁴; ჩამწერ-შემდგენელ თ. სახოკიას ანდაზებისთვის დაურთავს ქართული შესატყვისები და ხშირ შემთხვევაში კომენტარებიც, რომელთა საშუალებით წარმოდგენილია შემდგენლის (თ. სახოკიას) ინტერპრეტაცია; ამასთან, ზემოაღნიშნულ მასალაში ასახულია ანდაზების ვარიანტულობა და სამეგრელოს არეალისთვის დამახასიათებელი ფორმათა ნაირგვარობა, რაც მეტ დირექტულებას სძენს მას. ამ ჩანაწერებიდან თ. სახოკიას 1897 წელს „მოამბეში“ (№10, გვ. 162) გამოუქვეყნებია 10 მეგრული ანდაზა შესაბამისი ქართული ვერსიით²⁵. აღნიშნული მასალა სრულად მოგვიანებით, 1989 წელს, გამოაქვეყნა შ. აფრიდონიძემ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXVIII ტომში (გვ. 240-271).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თ. სახოკიას წვლილი ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში. ჯერ კიდევ 1889 წლიდან, ქართლში სოფლის მასწავლებლად მუშაობის პერიოდში, იგი გულმოდგინედ აგროვებდა ხალხში

²⁴ ჩანაწერების დედანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის თ. სახოკიას ფონდში (№167, 314, 317).

²⁵ გამოცემულ მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებს ხშირად ახლავს ან იდეურ-სემანტიკურად ეკვივალენტური ქართული ანდაზა, ან შესაბამისი ანდაზის ქართული თარგმანი. აღნიშნულის გამო, ასეთ შემთხვევებში ნაშრომში ვიყენებთ ტერმინს „ვერსია“.

გაბნეულ ფოლკლორულ ნიმუშებს, მათ შორის, ანდაზებსაც. 1943 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში თ. სახოკია წერდა: „პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვაობამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ... ქართულ მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამეკცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად“ (სახოკია 1969:220)²⁶. საინტერესოა ისიც, რომ თ. სახოკიას შეუგროვებია სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები²⁷, რომლის გამოცემაც ეთნოგრაფთა საზოგადოებას შემდგომი მეცნიერული შესწავლის მიზნით 1950-იან წლებში დაუპირებია, თუმცა, ცხადია, მაშინდელი ცენზურის პირობებში ეს ვერ მოხერხდა და აღნიშნულმა მასალამ მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისში იხილა დღის სინათლე (კოტეტიშვილი 2005)²⁸.

1990 წელს გამოქვეყნდა კ. სამუშიას მიერ ზუგდიდსა და მის მიმდებარე რაიონებში შეკრებილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა შორისაც რამდენიმე ანდაზაცაა წარმოდგენილი შესაბამისი ქართული ვერსიით. აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორი ანდაზის ნაცვლად იყენებს ტერმინს *სენტენცია*.

კ. დანელიასა და ა. ცანავას მიერ შედგენილ „ქართული ხალხური სიტყვიერების“ II ტომში შესულია 828 მეგრული ანდაზა. ანდაზები გაწყობილია ქართულ ანბანთრიგზე, თითოეულს ახლავს ქართული ვერსია (დანელია, ცანავა 1991:418-463).

2013 წელს ფ. ნადარაიამ გამოაქვეყნა 100 მეგრული ანდაზა სათაურით „მარგალური მოკოეფი“ („მეგრული ანდაზები“) („სამეგრელო-ზემო სვანეთი“, ცნობარი, მარტვილი, გვ. 35-39). ანდაზები აქაც ანბანთრიგზეა გაწყობილი, მოცემულია მხოლოდ მეგრულ ენაზე და არ ახლავს ქართული ვერსია.

²⁶ ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. თედო სახოკიასადმი მიძღვნილი კრებული (1969 წ.).

²⁷ „ქართული უწმაწური ანდაზები და სიტყვა-თქმანი“, რომლის დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II; ფონდები: 145, 151, 167, 314-316), შ. აფრიდონიძის მიერ შეჯერებული ვარიანტების მიხედვით 2005 წელს გამოიცა კ. კოტეტიშვილის კრებულში „მოუკრეფავნი“; აქვეა დაბეჭდილი მეგრული სკაბრეზული ანდაზები და გამოთქმები.

²⁸ უნდა აღინიშნოს, რომ უწმაწური ლექსიკის წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლის მიმართ არაერთგვაროვანი აზრის მიუხედავად, ლინგვისტური კვლევებისთვის ყველა სახის მასალა, როგორც ენობრივი ფაქტი, თავისთავად საინტერესოა, რადგან „უწმაწური ლექსიკისა და ინვექტივის გამორიცხვა, როგორი მცირეც უნდა იყოს მისი ხვედრითი წილი, ენას „სტერილურად“ წარმოგვიდგენს და ამდენად, მის დამახინჯებულ სურათს მოგვცემს. ამა თუ იმ ენის ადეკვატური, იდეალური აღწერა იქნებოდა მისი ყველა დისკურსის აღწერა“ (ომიაძე 2009:184).

2019 წელს დაიბეჭდა მ. კვიციანი წიგნი „კვიციანი“. მასში წარმოდგენილია: ლექსები, ფოლკლორული ტექსტები, ონომასტიკური მასალა, ენის გასატეხი, შელოცვები, გამოცანები, 800 ერთეულამდე მეგრული ანდაზა და სხვ. აღნიშნული ანდაზები ავტორს ჯერ კიდევ 1966 წელს დაუღაგებია და გაუწყვია ანბანთრიგზე. წიგნში მოცემულ ზოგიერთ ანდაზას ახლავს ქართული თარგმანი და//ან ავტორისეული მცირე კომენტარი. იშვიათად, მაგრამ მაინც, ნაშრომში ანდაზად ჩათვლილია იდიომი, ნარატიული ტექსტი, ფრთიანი გამონათქვამი და ა.შ. (მაგალითისთვის იხ. გვ. 202, №7; გვ. 203, №33, გვ. 206, №8, გვ. 211 №27). მასალის გადამუშავების აუცილებლობას თვით მ. კვიციანიც შენიშნავს ანდაზების ბოლოს არსებული მინაწერით: „შეიძლება მეტიც გამოსულიყო, რომ მუშაობა გამეგრძელებინა, შეიძლება დახვეწის შემდეგ ნაკლებიც ყოფილიყო...“ (კვიციანი 2019:234).

საქართველოსა და თურქეთში გამოცემული **ლაზური ანდაზების** რამდენიმე ბეჭდური წყარო შეიძლება დავასახელოთ; კერძოდ, ესენია:

ა) თურქული გამოცემის (Kamil Aksoylu, Laz Kulturu Tarih, Dil, Gelenek ve Toplumsal Yapı, Ankara, 2010) მიხედვით ქართული ანბანის რიგზე გაწყობილი 218 ერთეული ანდაზა შესაბამისი ქართული ვერსიით, მომზადებული ნ. ახალაიასა და ზ. ქავთარაძის მიერ; შეტანილია წიგნში: „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“ (ახალაია და სხვები 2015:656-676).

ბ) სარფული ფოლკლორის მიმოხილვისას ც. ნარაკიძე და თ. შიოშვილი უხვად იმოწმებენ ლაზურ ანდაზებს პარალელური ქართული შინაარსობრივი შესატყვისებით; შეტანილია წიგნში: „სარფი“ (ჩოხარაძე და სხვები 2015:423-429).

გ) 126 ერთეული ლაზური ანდაზა მოცემულია თურქეთში გამოცემულ ბოლოდროინდელ ნაშრომებში. მათ შორის აღსანიშნავია რ. კოსანოღლუს Lazca Deyimler ve Atasözleri Sözlüğü – „ლაზური იდიომებისა და ანდაზების ლექსიკონი“ (Kosanoğlu 2020). ლაზური ანდაზები დალაგებულია ქართულ ანბანთრიგზე ლაზური ფონემატური სისტემის გათვალისწინებით; ახლავს თურქულენოვანი ვერსიები.

მეგრული და ლაზური ანდაზები, ქართული ვერსიით, გამოცემულია ერთ წიგნად შემდეგი სახელწოდებით: „ხალხური სიბრძნე (მეგრული და ლაზური ანდაზები)“ (შემდგენლები და ქართული ვერსიის ავტორები: რ. შეროზია, ო. მემიშიში, თბილისი, 1994). მასში შესულია 1922 მეგრული და 890 ლაზური ანდაზა. შემდგომ, 2015 წელს, ლაზური ანდაზები და იდიომები ცალკე ო. მემიშიშიმა გამოსცა. ავტორის თქმით, წიგნში შესულია წლების განმავლობაში

საველე-შემკრებლობითი მუშაობის დროს მოძიებული მასალა. დალაგების პრინციპი შემდგენაირია: ანბანის რიგზე მოცემულ ლაზურ ანდაზებს მოსდევს სიტყვასიტყვითი ქართული ვერსია, ზოგჯერ კი – შესატყვისი ქართული ანდაზა.

სვანური ანდაზების ერთ-ერთი პირველი შემკრები და გამომცემელი არის „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით მოღვაწე მეცნიერი ბესარიონ ნიჟარაძე, რომელმაც 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში („ძველი საქართველო“, ტ. II, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით) გამოაქვეყნა რამდენიმე სვანური ანდაზა (განყოფ. II, გვ. 98-100); გასული საუკუნის 60-იან წლებში გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა რამდენიმე სვანური ანდაზის ქართული შესატყვისები სათაურით „სვანური ანდაზები“. წარმოდგენილ მასალას მიწერილი აქვს „ვ. და ე. გვიჩიანები, მესტიის რაიონი“ (№53, 1965, 5 მარტი). სვანური ანდაზების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების ამსახველი შედარებით სრული მონაცემი 1973 წლამდე არ გამოცემულა. ამ დროს ა. შანიძისა და მ. ქაღდანის რედაქციით გამოქვეყნდა სვანური ენის მკვლევრის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფის, ა. დავითიანის, „სვანური ანდაზები“; მასში მოცემულია მეცნიერის მიერ წლების განმავლობაში ნაგროვები მასალა, 3000-ამდე ანდაზა. ა. შანიძე წინასიტყვაობაში მაღალ შეფასებას აძლევს ა. დავითიანის შრომას. იგი წერს: „ამ გამოცემას მნიშვნელობა აქვს როგორც დიალექტოლოგიისა და ლექსიკოგრაფიისათვის, ისე ეთნოგრაფიისათვის, მაგრამ მთავარი მისი ღირებულება მაინც ის არის, რომ ამ წიგნით გამოვლენილია ბევრი რამ ჩვენი უზომოდ ვრცელისა და დიდად მდიდარი ხალხური სიტყვიერების ერთ უბანზე სიყვარულით შეკრებილი უძვირფასესი ნიმუშებისა სვანთა გონებრივი საგანძურიდან, რომელიც ქართული თარგმანის საშუალებით ფართო წრეებისათვის ხდება ხელმისაწვდომი“ (შანიძე 1973:4). ა. დავითიანის განსაკუთრებულ ღვაწლს და ნაშრომის ღირებულებას ხაზს უსვამს მ. ქაღდანიც (ქაღდანი 1973:5-7). ნაშრომის გამოცემას მაღევე მოჰყვა დადებითი გამოხმაურებები სხვა მეცნიერთა მხრიდანაც (გელოვანი 1973; ღლონტი 1973; შამელაშვილი 1973).

2000 წელს გამოიცა სვანური ანდაზების კიდევ ერთი სრული კრებული სახელწოდებით „ლაჰრჷკდ ჳრი“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „არაკად არის//საარაკოდ არის“; იგივეა, რაც ქართული არაკად თქმულა//ანდაზად თქმულა. კრებულის შემდგენელ-გამომცემელია ა. კორძაია. აღსანიშნავია, რომ ა. დავითიანის ზემოხსენებულ კრებულში (1973 წ.) ბალსქვემოური დიალექტის

ლახამულური კილოკავისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებებია ასახული, ხოლო ა. კორძაიას (2000 წ.) წარმოდგენილი აქვს ბალსხემოური დიალექტის სხვადასხვა კილოკავზე ჩაწერილი ანდაზები²⁹. როგორც კრებულის შემდგენელი მიუთითებს, „კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ისეთ მცირე ტერიტორიაზე, რაც ბალსხემოურ სვანეთს უჭირავს, ძნელია მოიპოვებოდეს იმდენი ანდაზა ან ანდაზის იმდენი ვარიანტი, რომ შეიძლებოდეს კრებულში მისი გეოგრაფიული პრინციპით დალაგება, მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით“ (კორძაია 2000:7). მეცნიერი იზიარებს და ანდაზებისთვისაც აზოგადებს ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც „ბალსხემოური, სხვა კილოებთან დაპირისპირებით, ცალკე ერთეულია, მაგრამ ეს ერთეული თავის წილში სრულიადაც არ არის მთლიანი. მრავალფეროვანია ის წვრილ-წვრილი განსხვავებანი, რომელთაც გვიჩვენებენ ცალკეული ხეობები და სოფლები: სხვა არის უშგულური სვანური, სხვაა მულახური და სხვაა ლატალური. ხეობიდან ხეობამდე და ზოგჯერ ერთი სოფლიდან მეორემდე საკმარის დიდია კილოკავური განსხვავება“ (სვანური პროზაული ტექსტები, I:XIV).

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, დღესაც აქტუალურია XX საუკუნის 60-იან წლებში ნათქვამი: „ჩვენს ერში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულია მრავალი ანდაზა, როგორც ზღვის ფსკერში მარგალიტი, და მათი პოვნა და შეგროვება მეტად საჭიროა“ (გომართელი 1966:99).

1.2 ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული რესურსები

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ანდაზური ემპირიული ფონდის ელექტრონულ ბაზებად გარდაქმნაზეც აისახა; უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ნიუარაძის გამოცემული სვანური ანდაზები, სვანურ გამოცანებთან ერთად, განთავსებულია TITUS-ის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (ელექტრონული ვერსია ეკუთვნის პროფ. იოსტ გიპერტს)³⁰. რ. შეროზიასა და ო. მეშიშიშის შედგენილი მეგრული და ლაზური ანდაზების ელექტრონული ვერსია მოამზადა მ. ბუკიამ³¹.

²⁹ ა. კორძაიას ნაშრომის რეცენზიაში რ. იოსელიანი საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ კრებულში თავმოყრილი ანდაზები განსაკუთრებით ღირებულია, რადგან იგი წარმოადგენს ბალსხემოური დიალექტის ნიმუშებს, ხოლო სვანურის ამ კილოს „სამედიატორო ენას“//„სალიტერატურო სვანურს“ უწოდებენ (იოსელიანი 2003).

³⁰ სვანური ანდაზები და გამოცანები ის. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://titus.uni-frankfurt.de> (ბოლო წვდომა: 16.03.2023).

³¹ აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://lev.ge/> (ბოლო წვდომა: 25.05.2023).

ბოლო ხანებში შეიქმნა ქართული ანდაზებისა და იდიომების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა³²; აღნიშნული ციფრული რესურსი რუსთაველის ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მომზადდა პროფ. მანანა რუსიეშვილის ხელმძღვანელობით; იგი შეიცავს 7 ათასამდე ქართულ ანდაზასა და იდიომს. აღსანიშნავია, რომ ბაზაში შესაძლებელია ქართული ანდაზებისა და იდიომების სემანტიკური ეკვივალენტების ძიება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, თურქულ და არაბულ ენებში, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური კვლევების თვალსაზრისითაც³³.

2. „ციფრული რეოლუცია“ და სამეცნიერო პარადიგმათა ცვლა

ჩვენს დროში საკვლევი ემპირიული მასალის მოპოვება და დამუშავება მჭიდროდ უკავშირდება უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას, რამაც განაპირობა ტრადიციულ მიდგომებთან ერთად კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა. სწორედ ამგვარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა შექმნა წინაპირობა XXI საუკუნეში ახალი დისციპლინების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. დიგიტალური ბაზების შექმნისა და კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად, ვრცელ ემპირიულ მასალაზე დამყარებული ლინგვისტური კვლევებიც ახალ ეტაპზე გადადის.

ენობრივ მონაცემთა დოკუმენტირება მხოლოდ მასალის ჩაწერით არ შემოიფარგლება და მისი სათანადო დამუშავებისა და არქივირების აუცილებლობასაც აყენებს (Himmelman 1998; Gippert et al. 2006; Drude 2016)³⁴. ამ მიზნით არაერთი რესურსია შექმნილი, მათ შორის, ველზე მოპოვებული აუდიო და/ან ვიდეომასალის დამუშავების ერთ-ერთი გავრცელებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი ღია პროგრამული საშუალება არის „ელანი“ (ELAN – EUDICO Linguistic Annotator), რომელიც ჩაწერილი ტექსტის გაშიფვრის, წინადადებუ-

³² ატვირთულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერვერზე და ელექტრონულად ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://idioms.tsu.ge/> (ბოლო წვდომა: 03.04.2024).

³³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს პროფესორმა მ. მიქაძემ შეადგინა და ბეჭდურად გამოსცა „ქართული ანდაზა ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული შესატყვისებით“, სადაც ამოსავალი ენის მასალას – ანბანთრიგზე დალაგებულ ქართულ ანდაზებს – მიწერილი აქვს დანარჩენ ენათა სემანტიკურად ეკვივალენტური ანდაზები.

³⁴ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ენის ციფრული (resp. დიგიტალური) დოკუმენტირების შემსწავლელი დისციპლინის აღსანიშნავად შექმნილია ტერმინი „დოკუმენტირების“ (თანდაშვილი 2016).

ბად//ფრაზებად//ცალკეულ სიტყვებად სეგმენტირების, ტრანსკრიბირების, ანოტირებისა და სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციის საშუალებას იძლევა³⁵. გარდა ამისა, „ელანში“ შესაძლებელია ტექსტისა და გამოსახულების „ერთი ფანჯრის პრინციპით“ წარმოდგენა, რაც ექსტრალინგვისტური მახასიათებლების ანალიზისთვის და დარგთაშორისი კვლევებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„ელანში“ იმპორტირებული და დამუშავებული ველზე მოპოვებული მასალების შემდგომი ანალიზისთვის ფართოდ გამოიყენება კიდევ ერთი პროგრამული ინსტრუმენტი „ფლექსი“ (FLEx – Fieldworks Language Explorer), რომელიც ენობრივი მონაცემების ინტერდისციპლინური თვალსაზრისით სისტემური წარმოდგენის საშუალებას იძლევა. კერძოდ, „ფლექსში“ შესაძლებელია როგორც ტექსტური კორპუსის შექმნა, ისე მასზე დამყარებული ლექსიკონის გენერირება, ცალკეულ სიტყვათა მორფოლოგიური ანალიზი და სხვა³⁶.

ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანილი და სათანადო ტექნოლოგიური მხარდაჭერით ადჭურვილი მონაცემთა ბაზები რესურსების კორპუსლინგვისტური დამუშავების საშუალებას იძლევა და კვლევის სიზუსტითა და სისტემურობით ხასიათდება.

2.1 მონაცემთა ბაზები, თანამედროვე ტექნოლოგიები და ქართველურ ენათა ანდაზები კორპუსლინგვისტიკის პერსპექტივიდან

კორპუსლინგვისტიკის, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში განვითარებული სამეცნიერო დისციპლინის უპირველესი ამოცანა კორპუსების აგება, მათი მართვა და გამოყენების მეთოდების შემუშავებაა. ჩვეულებრივ, ცალკეული კვლევების მასშტაბებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, კორპუსების არსებობა ენისა და კულტურის დოკუმენტირების, მისი არქივირების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. ჩვენს შემთხვევაში, ქართველურ ენათა მასალების დამუშავება სათანადო მეთოდური და ტექნოლოგიური საშუალებების დახმარებით მით უფრო აქტუალური და საშური, რადგან გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის („იუნესკოს“) მიხედვით, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ნუსხაში შეტანილია სამივე არასალიტერატურო ქართველური ენა: მეგრული, ლაზური და სვანური. „იუნესკოს“ შეფასებით, ამ ენებს გაქრობის საფრთხე სულ უფრო

³⁵ აღნიშნული პროგრამული რესურსის შესახებ ვრცლად იხ. <https://archive.mpi.nl/tla/elan> (ბოლო წელიწადი: 16.03.2023).

³⁶ ენათა და კულტურათა დოკუმენტირების თეორიულ საფუძვლებზე, თანამედროვე მეთოდებსა და პროგრამულ საშუალებებზე იხ. თანდაშვილი 2020; თანდაშვილი და სხვები 2020.

მეტად ემუქრებათ, რადგან ბავშვები აღარ სწავლობენ მათ, როგორც მშობლიურ ენას. „იუნესკოს“ ატლასზე³⁷, რომელზედაც მონიშნულ ენებს გაქრობის საფრთხის დონეებიც აქვთ მითითებული, ზემოხსენებული სამი ქართველური ენა კვალიფიცირებულია როგორც ნამდვილად გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი (Definitely endangered)³⁸.

„კორპუსმშენებლობისას“ უპირველესი ნაბიჯი ტექსტის ელექტრონული ვერსიის მომზადებაა, რომელიც შემდგომ სათანადოდ უნდა დამუშავდეს, დაერთოს მეტამონაცემები და ა.შ. კორპუსის ჯეროვანი ფუნქციონირება კვლევის პროცესში დიდწილად განპირობებულია კორპუსის მართვის მენეჯერით (resp. კორპუსმენეჯერით), რომელიც უზრუნველყოფს ძიების პროცესს სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (მაგ., კორპუსში ძიება შესაძლებელია მორფოლოგიური მახასიათებლების მითითებით, მეტამონაცემების მიხედვით და ა.შ.). ქართული ენის ეროვნული კორპუსისა (<http://gnc.gov.ge>) და სხვა, მათ შორის, თემატური კორპუსების შექმნა, ამასთანავე, მათი გამოყენებით კორპუსლინგვისტური კვლევების განხორციელება ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია³⁹.

ვინაიდან კორპუსი დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავებისთვის სწრაფი, ეფექტური, დრო-სივრცული თვალსაზრისით ხელმისაწვდომი და სანდო საშუალებაა, კორპუსლინგვისტური კვლევები სულ უფრო გარდაუვალი და აქტუალური ხდება. კორპუსის მნიშვნელობა და კორპუსული კვლევების პერსპექტიულობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანდაზებთან მიმართებით. ტრადიციული კვლევებისგან განსხვავებით, თანამედროვე პარემიოლოგიური კვლევების დიდი ნაწილი სწორედ კორპუსზე დამყარებულ (Corpus-based studies) ან კორპუსით განპირობებულ (Corpus-driven studies) კვლევებს წარმოადგენს⁴⁰.

³⁷ საფრთხეში მყოფი ენების მსოფლიო ატლასი (მესამე გამოცემა, 2010 წ.) და სათანადო ინფორმაცია იხ. „იუნესკოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://unesdoc.unesco.org> (ბოლო წვდომა: 01.12.2023).

³⁸ იუნესკოს მიხედვით, გაქრობის საფრთხის ამ დონეზე მყოფ ენებს ძირითადად მშობლების (ან უფრო ძველი) თაობა იყენებს.

³⁹ „კორპუსული მოძრაობის“ ისტორია საქართველოში და კორპუსლინგვისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის როლი დიგიტალური ქართველოლოგიის კონტექსტში გაანალიზებულია მ. თანდაშილისა და მ. ყამარაულის მონოგრაფიაში „შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში“ (2021 წ.).

⁴⁰ მაგალითისთვის იხ. 2014 წელს გამოსულ კრებულში („შესავალი პარემიოლოგიაში: სრული (ყოველმხომცველი) გზამკვლევი ანდაზების შესასწავლად“ (Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies) მოთავსებული კვლევები.

ანდაზების კორპუსული კვლევა განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი ფენომენების შესასწავლად, როგორცაა, მაგალითად, *ანდაზების ვარიანტულობა*. მიუხედავად იმისა, რომ ანდაზა, როგორც უძველესი კოდური ინფორმაციის მატარებელი ერთეული, არსებითად მყარი და ნაკლებად ცვალებადი მთლიანობაა, დღესაც პარემიოლოგები ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად ანდაზის ვარიანტულობას ასახელებენ (Steyer 2014). ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრის ნიმუშების ფიქსაციამდე ანდაზები თაობიდან თაობას, როგორც წესი, ვერბალური გზით გადაეცემოდა, რის გამოც გავრცელების ზეპირ ფორმას ინფორმაციული ან სტრუქტურული ცვლილება ახლდა თან. მეორე მხრივ, გარკვეული ცხოვრების პირობების შეცვლა თუ კონკრეტული სიტუაციურ-პრაგმატული წინაპირობები იწვევს რიგ ანდაზათა დაძველებას და დავიწყებას, რაც განაპირობებს ენაში ტრადიციულად არსებული პარემიული ერთეულების გვერდით მათი ტრანსფორმირებული ვარიანტების არსებობასაც (ლეჟავა 1959; Schuster 1998; Militz 1999; Anand 2014; Litovkina 2014; Pavlović 2016; Sergienko 2016; ჯღარკავა 2020, 2023). ზემოთქმულის გარდა, ანდაზების კორპუსული კვლევები **სტატისტიკურ** და **კოლოკაციურ ანალიზსაც** უზრუნველყოფს, რაც არაერთი მიმართულებითაა ღირებული.

სტატისტიკური მონაცემები, ზოგადად, არსებულის ვერიფიცირებასთან ერთად თვისობრივად ახალი დასკვნების გაკეთების საშუალებასაც იძლევა. თანამედროვე კვლევებში ტექნოლოგიების გამოყენების როლის საილუსტრაციოდ, საპილოტედ შევარჩიეთ იდეურ-სემანტიკურად ახლოს მდგომი (resp. შინაარსობრივად ეკვივალენტური) ქართული და მეგრული ანდაზები. მასალის მოცულობა განისაზღვრა 100 ქართული (ჯამში: 503 ტოკენი და 411 ტიპი) და 100 მეგრული (ჯამში: 485 ტოკენი და 391 ტიპი) ანდაზით. ანდაზები სპეციალური პროგრამული რესურსების (Voyant tools⁴¹ და Kwic⁴²) გამოყენებით დამუშავდა. ქვემოთ წარმოდგენილია შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემების ვიზუალური გამოსახულება.

⁴¹ იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://voyant-tools.org/> (ბოლო წვდომა: 24.10.2023).

⁴² იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://nuchs-corpus.japanwest.cloudapp.azure.com> (ბოლო წვდომა: 24.10.2023).

ფიგურა 1



ფიგურა 2

WordList - ქართო.txt

Copy Font Alphabet

Word	Count
და	19
არ	17
ერთი	7
კაცი	6
ვერ	4
აქსო	3
დროზე	3
ერთხელ	3
რომ	3
უნდა	3
ლოხეს	3
აკლდებოდესო	2
ან	2
არც	2
გამოსაშევი	2
გამოშვასო	2
გატყდება	2
გაჭირდება	2
ბინდ	2
ბული	2

Total Token: 503 TTR: 0.8170974
Total Type: 411

ფიგურა 1 და ფიგურა 2 წარმოადგენს საანალიზოდ აღებული ქართული ანდახების მახასიათებლებს, მათ ლექსიკურ შედგენილობას და სიხშირულ განაწილებას, ხოლო ფიგურა 3 და ფიგურა 4 – იდეურ-სემანტიკურად შესატყვისი მეგრული ანდახებისას.

ფიგურა 3



ფიგურა 4

WordList - მეგრ.txt

Copy Font Alphabet

Word	Count
დო	22
კოჩი	6
რენია	6
ართი	5
ოყო	5
უჯგუნია	5
ჩხობი	4
ზოლო	4
ჯიჩი	4
ართმახ	3
დიდი	3
ვაულუნია	3
ბუმი	3
ულუნია	3
მარა	3
მზვამი	3
წყარი	3
ბეშუანი	2
დიდა	2
დროს	2

Total Token: 485 TTR: 0.8061855
Total Type: 391

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ პროგრამულ საშუალებებს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვთ. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მცირე მოცულობის ტექსტური კორპუსის შექმნა, მასში კოლოკაციების ძიება, შედარებითი სიხშირის დადგენა ტექსტის სხვადასხვა სეგმენტის მიხედვით და ა.შ.

შესადარებელ ენათა ანდაზების ლექსიკურ-გრამატიკული ინვენტარის სტატისტიკური ანალიზის შედეგად მიღებული ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება იყოს საინტერესო, თუმცა ამჯერად მხოლოდ ორიოდე თავისებურებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. როგორც მოყვანილ ცხრილებში ჩანს, საანალიზოდ აღებულ ქართულ ანდაზებში განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა *არ* და *ვერ* უარყოფის ნაწილაკები (ფიგურა 2), ხოლო მეგრულ ანდაზებში ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული სურათი გვაქვს (ფიგურა 4). ცხადია, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელია ვისაუბროთ უარყოფის გადმოცემის მექანიზმის სხვადასხვაობაზე ქართულსა და მეგრულში⁴³, თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ საბოლოო დასკვნების გაკეთება ამ ენათა მორფოსინტაქსური მონაცემების გათვალისწინების გარეშე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუპართლებელია.

გარდა ამისა, მოყვანილ სტატისტიკურ სურათში ყურადღებას იქცევს ქართულ და მეგრულ ანდაზებში ტოკენებისა და ტიპების ურთიერთმიმართების საკითხი, ე.წ. Type-Token Relation (resp. **TTR**, იხ. ფიგურა 2 და ფიგურა 4). TTR ასახავს ტექსტში ტიპების რაოდენობრივ შეფარდებას ტოკენებთან და მიიღება ტიპების ტოკენებზე გაყოფის შედეგად. ერთი შეხედვით, ლოგიკური იქნებოდა იმის განზოგადება, რომ რაც უფრო მაღალია TTR-ის მაჩვენებელი (ანუ, რაც უფრო მაღალია ტიპების რაოდენობრივი მაჩვენებელი), მით უფრო ორიგინალურ, თავისთავად და მდიდარი ლექსიკურ-გამომსახველობითი ინვენტარის მქონე ტექსტთან გვაქვს საქმე; თუმცა ყოველთვის ასე არ არის, რადგან ტექსტების ამგვარი ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ენის მახასიათებლებს, საანალიზოდ აღებული ტექსტის მოცულობას, ჟანრობრივ თავისებურებებს და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში, კვლევის ინტერესების შესაბამისად, ამა თუ იმ ტექსტში მნიშვნელოვანია სტატისტიკურად არა ყველაზე გავრცელებული, არამედ

⁴³ ამ მხრივ საინტერესოა, რომ მეგრულში *ვა*- („არ/ვერ“) ნაწილაკი კონსტრუქციაში ცალკე კი არ დგას, არამედ მიერთვის სახელს და/ან ზმნას.

ყველაზე დაბალი სიხშირის მქონე ლექსემების ანალიზი. ამ თვალსაზრისით, ჩვენს მასალაში არსებული შედარებითი სურათი, ნაკლები სიხშირის მქონე პირველი ათი სიტყვის მაგალითზე, მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ფიგურებში:

ფიგურა 5: ყველაზე დაბალი სიხშირის ტოკენები ანდაზების ქართულ ბაზაში

Voyant Tools			
Terms			
		Term	Count ↑
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	1 აზრამს	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	2 აგარბენინებსო	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	3 აგაცოცდებო	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	4 ადამიანი	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5 ადამიანის	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	6 ადრეული	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	7 ავადო	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	8 ათას	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	9 აიშვირაო	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	10 აკოცდნენო	1

ფიგურა 6: ყველაზე დაბალი სიხშირის ტოკენები ანდაზების მეგრულ ბაზაში

Voyant Tools			
Terms			
		Term	Count ↑
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	1 ადვილი	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	2 ადრე	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	3 აკოროცხე	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	4 ამდარი	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	5 ანთასი	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	6 ართ	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	7 ართიმა	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	8 ართწერო	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	9 აბიწუდას	1
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	10 ახალი	1

ნათელია, რომ თანამედროვე პროგრამული და ტექნოლოგიური რესურსები, როგორც დამხმარე საშუალება, მოხერხებულია სხვადასხვა სახის კვლევის ჩასატარებლად, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი მასალის პროგრამულად დამუშავების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები (მაგ., ფიგურა 2-სა და ფიგურა 4-ში წარმოდგენილი ინდექსის მონაცემები) საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად საკმარისი არ არის. ჩატარებული კვლევის სარწმუნოებისთვის აუცილებელია ვრცელი ემპირიული მასალა და ენის ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინება.

2.2 ანდაზების ემპირიული კვლევა – „პარემიოლოგიური მინიმუმი“

განსხვავებულ ენათა ანდაზური ფონდის ემპირიული კვლევა სტატისტიკური და ექსპერიმენტული მეთოდებით მჭიდროდ უკავშირდება „პარემიოლოგიური მინიმუმის“ ცნებას, რომელიც ასახავს სოციუმში ყველაზე პოპულარულ, ხშირად გამოყენებულ ანდაზებს. „პარემიოლოგიური მინიმუმის“ გამოსავლენად სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მეთოდი დასახელებული (Albig 1931; Permyakov 1973; Левин 1984; Litovkina 1996; Charteris-Black 1999; Haas

2008). მათგან ერთ-ერთია ექსპერიმენტის დაგეგმვა და განხორციელება; კერძოდ, ცდისპირებმა კონკრეტული დროის მონაკვეთში (20-დან 40 წუთამდე) უნდა ჩამოწერონ მათთვის ცნობილი ყველა ანდაზა. ამ მეთოდის გამოყენებით ექსპერიმენტულად გამოვლინდება მოცემულ დროსა და მოცემულ საზოგადოებაში ყველაზე აქტიურად გამოყენებული და, შესაბამისად, აქტუალური ანდაზები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენებას გარკვეული ხარვეზები ახლავს და, ამ მიზეზით, მიღებული შედეგებიც ბოლომდე სანდო ვერ იქნება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტული ანდაზების პოპულარობა და მათი გამოყენების სიხშირე ამა თუ იმ საზოგადოებაში სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული და, შესაბამისად, ცვალებად ფენომენს წარმოადგენს. აქვე მნიშვნელოვანია ცდისპირთა რაოდენობის, მათი შერჩევის პრინციპისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც. ამასთან, გამოკითხვის პროცესის დროში შეზღუდულობა ხშირად აფერხებს ცდისპირისგან საჭირო მასალის მიღებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ანდაზა ზეპირმეტყველებაში, ანუ ბუნებრივ სიტუაციაში რეალიზდება, ხელოვნურად შექმნილ გარემოში მისი რეალიზების ალბათობა ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული მეთოდის ვარგისიანობას.

პარემიოლოგიურ მინიმუმთან დაკავშირებული ემპირიული კვლევები ქართველურ ენათა ვრცელი მასალის მიხედვით აქამდე არ ჩატარებულა. ერთადერთი ავტორი, რომელიც ნაწილობრივ, ერთი კონკრეტული კუთხით შეეხო ამ საკითხს, არის მ. ღამბაშიძე, რომელმაც ქართული და გერმანული ენების მასალაზე გააანალიზა სოციალურ ქსელში გამოყენებული ანდაზები და შეადგინა ერთგვარი სია, რომელსაც უწოდა „თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვის „ანდაზა-მინიმუმის“ სტანდარტი“ (ღამბაშიძე 2017:88). სტატიაში ავტორი სამწუხაროდ არ უთითებს ისეთ მნიშვნელოვან და ღირებულ ინფორმაციას, როგორცაა: კერძოდ ვისგან, სად და რა მეთოდების გამოყენებით შეაგროვა კვლევისთვის საჭირო მასალა და სხვ. აღნიშნულის გამო, მსგავს შემთხვევებში პარემიოლოგიური მინიმუმის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევი გვეჩვენება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ანდაზების პოპულარობის კვლევა რამდენიმე მიმართულებით უნდა დაიგეგმოს და მოიცვას როგორც ზეპირი (ადამიანთა ყოველდღიური მეტყველება, სატელევიზიო გამოსვლები, სხვადასხვა შინაარსის გადაცემები და ა.შ.), ისე წერილობითი

(საგაზეთო სტატიები, ელექტრონული და ბეჭდური მედია, სოციალური ქსელები და სხვ.) დისკურსი, საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფერო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია „პარემიოლოგიური მინიმუმი“ დადგინდეს ბალანსირების პრინციპზე დამყარებით: ადამიანთა ფართო, მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან წრეში: სხვადასხვა ასაკის, სქესის, სოციალური წრის, განათლების, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. ცხადია, ამ მოცულობის სამუშაოების ჩატარება ძალზე შრომატევადია, დიდ სირთულეებს უკავშირდება და ჯგუფურ მუშაობას მოითხოვს. ვფიქრობთ, რომ „პარემიოლოგიური მინიმუმის“ გამოსარკვევად სწორედ ამგვარად შეგროვებული ემპირიული მასალა იქნება ოპტიმალური კვლევის რელევანტური შედეგების მისაღებად.

„პარემიოლოგიური მინიმუმის“ განსაზღვრა რამდენიმე მიმართულებითაა აქტუალური. ყველაზე ხშირად გამოყენებული ანდაზებისა და იდიომების მონაცემთა ბანკი თარგმანთმცოდნეობისა და მეორე ენის სწავლა-სწავლების დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან უცხო ენისა და კულტურის აღქმა-გააზრებისას ძირითად სირთულეებს არა ცალკეული სიტყვები თუ გრამატიკული წესების ერთობლიობა, არამედ დიდწილად სწორედ ამგვარი ენობრივი ერთეულები ქმნიან (Liu 2003; Vanyushkina 2007; Haas 2008; Kukovec 2013). ამასთან, „პარემიოლოგიურ მინიმუმთან“ დაკავშირებული კვლევის შედეგები, და, შესაბამისად, ანდაზათა დადგენილი ჯგუფის პოპულარულობა და გავრცელებულობა, „რჩეული ანდაზების“ მსგავსი კრებულების გამოცემისას ემპირიული მასალის განსაზღვრისთვისაც გამოიყენება⁴⁴.

3. ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზა: რესურსების შექმნის ძირითადი პრინციპები

თანამედროვე თეორიული და ტექნოლოგიური ინოვაციების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ, დიგიტალური ჰუმანიტარიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დიდ მონაცემთა ბაზების (big data) შექმნა ტექსტური კორპუსების სახით; აღნიშნული თანაბრად ეხება როგორც დამწერლობის მქონე, ისე დამწერლობის არმქონე ენებს (თანდაშვილი, გიპერტი 2023). აქედან გამომდინარე, ქართული, მეგრული, ლაზური

⁴⁴ ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გ. ტიტელმანის ნაშრომები (Titelman 1997, 2000), თუმცა აქაც გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ქვეყნის ერთ კუთხეში, რეგიონში, ქალაქში გავრცელებული ანდაზა შეიძლება მეორეგან საერთოდ არ იყოს პოპულარული.

და სვანური ანდაზების ელექტრონული ბაზა, რომელშიც ბეჭდურად გამოცემული და საველე სამუშაოებისას მოპოვებული და//ან დაზუსტებული მასალა გარკვეული პრინციპით იქნება კლასიფიცირებული და კვალიფიცირებული, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს ქართველურ ენათა ემპირიული მასალის ჩართვას კორპუსლინგვისტურ კვლევებში და, ზოგადად, ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზაციასაც.

ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის შექმნა ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

პირველ რიგში, ქართულ ანდაზებს უნდა დაეძებნოს შესაბამისი სემანტიკური ეკვივალენტები მეგრულში, ლაზურსა და სვანურში და დაჯგუფდეს შინაარსობრივ-თემატურად, რის შემდეგაც უნდა შეიქმნას ქართველურ ენათა ანდაზების დიგიტალური კორპუსი, რომელიც ღია რესურსის სახით უნდა განთავსდეს ინტერნეტში. თანამედროვე ვითარების საჩვენებლად და არსებული ბეჭდური მასალის გადასამოწმებლად აუცილებელია ველზე მუშაობაც, რომლის დროსაც დამატებით გამოიკვეთება ანდაზების ტრანსფორმაციის მიმართულება, დინამიკა და სხვ. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულებული სამუშაო ხელს შეუწყობს საბოლოო პროდუქტად სანდო და რელევანტური რესურსის შექმნას.

ოთხივე ქართველური ენის ანდაზების მონაცემთა ელექტრონული ბაზისთვის, რომელიც მომავალში შეიქმნება, საყრდენი (ამოსავალი) საკვლევი ემპირიული მასალა ბეჭდურად გამოცემული ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზებია, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი შეიძლება შეივსოს და დაზუსტდეს საარქივო და ველზე მოპოვებული მასალებითაც. ბაზა საშუალებას მოგვცემს გამოვალინოთ ქართველურ ენათა შინაარსობრივად ეკვივალენტური ანდაზები, რაც გამოკვეთს საერთოქართველურსა და თითოეული ქართველური ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებებსაც.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საბოლოო პროდუქტმა რამდენიმე მიმართულებით უნდა შეავსოს საერთოქართველური ენობრივი სურათი პარემიოლოგიაში. რაც ყველაზე მთავარია, სიახლე იქნება ერთი მხრივ ის, რომ ერთ სივრცეში განთავსდება ოთხივე ქართველური ენის ანდაზები, ხოლო მეორე მხრივ – დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება რომელიმე კონკრეტული ქართული ანდაზის მეგრული, ლაზური და სვანური ეკვივალენტი მარტივად მოიძიოს ბაზაში.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ელექტრონული ბაზის შექმნის გამოცდილება ქართულ სამეცნიერო სივრცეში უკვე არსებობს⁴⁵; არსებული რესურსი გვიჩვენებს, რომ ამგვარი სამუშაოს ჩატარება მთლიანად ქართველურ ენათა მასალაზეც გადაუდებელი საქმეა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველურ ენათა ანდაზების მონაცემთა ელექტრონული ბაზა იქნება ჩვენში „კორპუსმშენებლობის“ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. ამასთანავე, იგი გახდება რესურსი, რომელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს და მოუმზადებს ნიადაგს პარემიოლოგიაში ქართველურ ენათა მასალაზე კორპუსლინგვისტური კვლევების სამომავლოდ დაგეგმვასა და განხორციელებას.

ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის პირველადი კონცეპტუალური ჩარჩო ასეთია: პირველ რიგში, აუცილებელია ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის კვალიფიცირება და კლასიფიცირება. კერძოდ, ქართველურ ენათა ანდაზების დალაგება:

- ა) იდეურ-სემანტიკური ეკვივალენტების მიხედვით;
- ბ) თემატური პრინციპით (კონცეპტების მიხედვით).

ანდაზების კლასიფიკაცია კონცეპტების მიხედვით მოითხოვს შემდეგი ძირითადი ჯგუფების გამოყოფას:

1. ადამიანური თვისებები:

- ა) დადებითი: მეგობრობა, სიკეთე, სიყვარული, მეზობლობა, პატიოსნება და მისთ.
- ბ) უარყოფითი: ბოროტება, შური, გაუტანლობა, სიზარმაცე, ღალატი და მისთ.

- 2. ოჯახის წევრთა ურთიერთობა;
- 3. თავისუფლება;
- 4. მშვიდობა;
- 5. ბედი;
- 6. იმედი;
- 7. შრომა/მუშაობა;
- 8. ჯანმრთელობა, ავადმყოფობა;
- 9. სილამაზე/მშვენიერება;
- 10. სტუმარმასპინძლობა და სხვ.

⁴⁵ იხ. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების მონაცემთა ბაზა შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://idioms.tsu.ge/> (ბოლო წვდომა: 03.04.2024).

რაც შეეხება ქართველურ ენათა ანდაზების მონაცემთა ბაზის ტექნოლოგიურ მხარეს⁴⁶, საწყის ეტაპზე, ბაზაში შესაძლებელი იქნება მარტივი ძიების პარამეტრების გამოყენება. ამგვარი საბაზისო ძებნის სისტემა საშუალებას იძლევა საძიებო ველში დაინტერესებულმა პირმა შეიტანოს როგორც სრული სახით ანდაზა, ისე მასში შემავალი ცალკეული ფრაზა ან სიტყვა. ამასთან, ბაზაში ძიება შესაძლებელი იქნება ე.წ. „ნებისმიერი ნიშნის“ პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ ზუსტი სიტყვა-ფორმების გარდა შესაძლებელია ბაზაში მოვიძიოთ ლექსემა ნებისმიერი დაბოლოებით. მაგალითისთვის, გამოსახულება **კაც*** იქნება ბრძანება, რომლის ჩაწერის შემდეგაც ბაზამ უნდა შემოგვთავაზოს ყველა ის ანდაზა, რომელშიც წარმოდგენილია აღნიშნული ფუძე ნებისმიერი დაბოლოებით//სუფიქსით (*კაც-მა, კაც-ით* და მისთ.). ამის პარალელურად, ***კაც** ბრძანებით ძიება შესაძლებელი იქნება სიტყვის პრეფიქსული პოზიციის ნებისმიერობის პრინციპითაც (*უ-კაცური, არა-კაცი* და ა.შ.). ამასთან, ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის მომხმარებელს შეეძლება ძიების შეზღუდვა გარკვეული პარამეტრების მიხედვით (მაგალითად, სიტყვაფორმების ძიება მხოლოდ რომელიმე ქართველური ენის ანდაზურ ფონდში).

გარდა ამისა, ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონულ ბაზაში მასალის მოძიება იდეურ-თემატური პრინციპითაც იქნება შესაძლებელი, რაც ანდაზებში წარმოდგენილ კონცეპტებს დაემყარება (ნიმუშისათვის ის. ანდაზებში ზემოთ გამოყოფილი 10 ძირითადი ჯგუფი). მაგალითად, წინასწარ დამუშავებულ, საგანგებოდ მარკირებულ და ბაზაში თავმოყრილ მასალაში მომხმარებელს საშუალება ექნება მოძებნოს ყველა ის ანდაზა, რომლის კონცეპტუალური პარადიგმა ეხება ადამიანის ბედს, იღბალს, ხვედრს და სხვ.

ზემოთქმულთან ერთად, სამომავლოდ, ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის განვითარება საინტერესო იქნება რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ბაზაში რთული ძიების შესაძლებლობის დამატება (მაგ., ძიება მეტყველების ნაწილების მიხედვით). ამასთან, ელექტრონული ბაზის „სამომხმარებლო ნიღბის“ გაუმჯობესება სასურველია ტრანსლიტერაციის პრინციპების მიხედვით საძიებო სისტემის ჩართვით, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული რესურსის ფართო მოხმარების თვალსაზრისითაც იქნება ღირებული.

⁴⁶ ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზის ტექნოლოგიურ ჩარჩო-მოდელთან დაკავშირებული მსჯელობისთვის გამოყენებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსის მაგალითი (იხ. <http://gnc.gov.ge>).

4. დასკვნა

ამდენად, ქართველურ ენათა ანდაზების შესწავლა ციფრულ ეპოქაში ინტერდისციპლინური კვლევების ახალ პერსპექტივებს აჩენს. უახლესი ტექნოლოგიური მიღწევებისა და მეთოდოლოგიური სიახლეების კვალდაკვალ შესაბამისი ემპირიული მასალის მოპოვება და დამუშავება მკვლევართა წინაშე ახალ მოთხოვნებს აყენებს, რის გამოც ვრცელ ემპირიულ მასალაზე დაფუძნებული კვლევები სრულიად ახალ ეტაპზე გადადის. ზემოაღნიშნულის პარალელურად გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე რესურსების დახმარებით ენობრივი მასალის პროგრამულად დამუშავება და შედეგად მიღებული სტატისტიკური სურათი აუცილებლად უნდა იყოს გამყარებული საკვლევი ენის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზით. სწორედ ამგვარი თანხვედრა უზრუნველყოფს საბოლოო დასკვნების ვალიდურობას და ჩატარებული კვლევის სარწმუნოებას.

ვფიქრობთ, რომ ქართველურ ენათა პარემიოლოგიური ფონდის კომპლექსურად შესწავლასა და საერთოქართველური ენობრივი სურათის უკეთ წარმოჩენაში, ასევე, მიღებული შედეგების ტიპოლოგიურ კვლევებში ჩასართავად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართველურ ენათა ანდაზების ელექტრონული ბაზა. ამასთან, იგი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ თემატური კორპუსების განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს კორპუსზე დამყარებული და/ან კორპუსით განპირობებული კვლევების განხორციელებასაც. სამომავლოდ საყურადღებო შედეგები უნდა მოგვცეს მონათესავე ქართველურ ენებში „პარემიოლოგიურ მინიმუმთან“ დაკავშირებული საკითხების სწორმა მეთოდოლოგიურმა, ბალანსირების პრინციპის გათვალისწინებით განხორციელებულმა კვლევებმაც. საბოლოო ჯამში, ქართველურ ენათა ანდაზების კორპუსი დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა ნიუანსობრივ სხვაობას ავლენს თითოეული ქართველური ენა თემატურ-შინაარსობრივად მსგავს ანდაზებში და რაში გამოიხატება ლოკალური ნიშნით მოცემული განსხვავებები. გარდა ამისა, ელექტრონული ბაზა ქართველური ენების მაგალითზე გამოკვეთს მოდიფიცირებული ანდაზების გარდაქმნის დინამიკას და ნათლად წარმოაჩენს იმ ენობრივ-გამომსახველობით ინვენტარს, რომლის მიხედვითაც ანდაზა წარმოგვიდგება მოქნილი და ტევადი შინაარსის სპეციფიკური ინტონაციით წარმოსათქმელ ფრაზად.

ყოველივე ზემოთქმული, თავის მხრივ, რამდენიმე მიმართულებით შეაგებს საერთოქართველურ ენობრივ ცნობიერებას და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ კულტურულ-მენტალურ სურათს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფრიდონიძე 1989: შ. აფრიდონიძე, თედო სახოკიას არქივიდან (დაბადების 120 წლისთავისათვის), იკე, XXVIII, გვ. 227-239, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
2. ბრეგაძე 2020: ლ. ბრეგაძე, „მასალათა კრებულის...“ ქართული ანდაზების კოლექციითა მნიშვნელობისათვის, აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი (XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
3. ბრეგაძე 2013: ლ. ბრეგაძე, მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ფურცლებზე, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
4. გელოვანი 1973: ა. გელოვანი, მას საუკუნის ტვირთი ეკიდა, გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 9 აგვისტო, №184 (6814), გვ. 3.
5. გომართელი 1966: ივ. გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი.
6. ვირსალაძე და სხვები 1973: ე. ვირსალაძე, ფ. ზანდუკელი, მ. გოგიჩაიშვილი, ქართული ფოლკლორის მოკლედ ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1829-1901), წიგნი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
7. თანდაშივილი 2020: მ. თანდაშივილი, ენისა და კულტურის დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
8. თანდაშივილი 2016: მ. თანდაშივილი, ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკუტინგვისტიკაში), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი.
9. თანდაშივილი, გიპერტი 2023: მ. თანდაშივილი, ი. გიპერტი, წინასიტყვაობა საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინჟურნალისა „დიგიტალური ქართველოლოგია“, ტ. II, გვ. V-XV, თბილისი, <https://adh.ge> (ბოლო ვედომა: 28.01.2024).
10. თანდაშივილი, ყამარაული 2021: მ. თანდაშივილი, მ. ყამარაული, შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
11. თანდაშივილი და სხვები 2020: მ. თანდაშივილი, რ. ხალვაში, რ. პაპიაშივილი, მ. ხახუტაიშივილი, გრ. კახიანი, ნ. ცეცხლაძე, ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტირების თანამედროვე ინსტრუმენტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

12. **იოსელიანი 2003:** რ. იოსელიანი, ხალხური სიბრძნის მარგალიტები, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, V, გვ. 448-451, გამომცემლობა „მემატიანი“, თბილისი.
13. **ლეჟავა 1965:** ლ. ლეჟავა, შესავალი წერილი წიგნში „ხალხური სიბრძნე“, ტ. V (ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები), გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
14. **ლეჟავა 1959:** ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 139-264, თბილისი.
15. **მაკარაძე 1978:** ა. მაკარაძე, სასარგებლო წიგნი (რეცენზია ალ. ჩავლეიშვილის წიგნისა „ანდაზები, აფორიზმები“), გაზეთი „დროშა“ (შუახვევი), №18 (2489), ხუთშაბათი, 9 თებერვალი, გვ. 4.
16. **ომიაძე 2009:** ს. ომიძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.
17. **ოქროშიძე 1948:** თ. ოქროშიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, „ლიტერატურული ძიებანი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
18. **სახოკია 1969:** თ. სახოკია, ავტობიოგრაფია (მოთავსებულია თ. სახოკიას შრომათა კრებულში), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
19. **ქაღდანი 1973:** მ. ქაღდანი, შესავალი წერილი დართული ა. დავითიანის წიგნზე „სვანური ანდაზები“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
20. **ღლონტი 1973:** ალ. ღლონტი, სვანური ანდაზები (რეცენზია). გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 10 აგვისტო, №32 (1877), გვ. 4.
21. **შამელაშვილი 1973:** რ. შამელაშვილი, სვანური ანდაზები (რეცენზია), გაზეთი „ახალი სვანეთი“, 16 აგვისტო, №96 (3065), გვ. 4.
22. **შანიძე 1973:** ა. შანიძე, წინასიტყვაობა ა. დავითიანის წიგნისა „სვანური ანდაზები“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
23. **წერეთელი 1871:** ა. წერეთელი, უფალო რედაქტორო, გაზეთი „დროება“, №28 (17 ივლისი), გვ. 2-3.
24. **ჭყონია 1926:** ა. ჭყონია, ბიბლიოგრაფია (ქართული ანდაზები, ლევ. მეტრეველის მიერ შედგენილი და გამოცემული), გაზეთი „კომუნისტი“, №11 (1466), პარასკევი, 15 იანვარი, გვ. 5.

25. **ჯღარკავა 2024:** გ. ჯღარკავა, ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.
26. **ჯღარკავა 2023:** გ. ჯღარკავა, ქართველურ ენათა ანდაზების ლინგვისტური კვლევის საკითხები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
27. **ჯღარკავა 2020:** გ. ჯღარკავა, ანდაზების ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური საკითხები, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“ (ედვენება აკადემიკოს აკაკი შანიძეს), ტ. VI-VII, გვ. 301-308, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
28. **Albig 1931:** W. Albig, Proverbs and social control, *Sociology and social research*, Vol. 15, pp. 527-535.
29. **Anand 2014:** A. Anand, Proverb and Antiproverb, *Studies on the Teaching of Asian Languages in the 21st Century*, Cambridge Scholars Publishing, pp. 23-28.
30. **Briggs 1985:** C. L. Briggs, The Pragmatics of Proverb Performances in New Mexican Spanish, *American Anthropologist*, 87(4), 793–810.
31. **Bryan, Mieder 1997:** G. B. Bryan, W. Mieder, *The Proverbial Charles Dickens: An Index to the Proverbs in the Works of Charles Dickens*, New York: Peter Lang.
32. **Bryan, Mieder 1994:** G. B. Bryan, W. Mieder, *The Proverbial Bernard Shaw: An Index to Proverbs in the Works of George Bernard Shaw*, Westport, Connecticut: Greenwood Press.
33. **Charteris-Black 1999:** J. Charteris-Black, The survival of English proverbs: a corpus-based account, *De Proverbio (An Electronic Journal of International Proverb Studies)*, №5(2).
34. **Coinnigh 2014:** M. M. Coinnigh, Structural Aspects of the Proverb, *Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies*, Hrisztalina Hrisztova-Gotthardt, Melita Aleksa Varga (eds.), De Gruyter, p.p. 112-132.
35. **Dent 1984:** R. W. Dent, *Proverbial Language in English Drama Exclusive of Shakespeare, 1495-1616: An index*, Berkeley, California: University of California Press.
36. **Drude 2016:** S. Drude, Language Documentation and its Methodology, Presentation at the summer school „Digital Humanities – Electronic documentation of language and culture“, August 25-31, Batumi.
37. **Gippert et al 2006:** J. Gippert, N. P. Himmelmann, U. Mosel, *Essentials of Language Documentation*, Berlin, New York: De Gruyter Mouton.
38. **Grzybek 2014:** P. Grzybek, Semiotic and Semantic Aspects of the Proverb, *Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies*, Hrisztalina Hrisztova-Gotthardt, Melita Aleksa Varga (eds.), De Gruyter, p.p. 68-111.

39. **Haas 2008:** H. A. Haas, Proverb Familiarity in the United States: Cross-Regional Comparisons of the Paremiological Minimum, *The Journal of American Folklore*, №121(481), pp. 319–347, <http://www.jstor.org/stable/20487611>
40. **Himmelmänn 1998:** N. P. Himmelmänn, *Documentary and Descriptive Linguistics*, vol. 36, no. 1, pp. 161-196. <https://doi.org/10.1515/ling.1998.36.1.161> (Last access: 15.06.2023).
41. **Jesenšek 2014:** V. Jesenšek, *Pragmatic and Stylistic Aspects of Proverbs, Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies*, Hrisztalina Hrisztova-Gotthardt, Melita Aleksa Varga (eds.), De Gruyter, p.p. 133-161.
42. **Konstantinova 2014:** A. Konstantinova, *Proverbs in Mass Media, Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies*, Hrisztalina Hrisztova-Gotthardt, Melita Aleksa Varga (eds.), De Gruyter, p.p. 276-293.
43. **Kukoveč 2013:** M. Kukoveč, *Proverbs and idiomatic expressions with body parts: tasks for translation students*, Faculty of Philosophy, pp. 133-155, <https://flf.ukim.mk> (Last access: 04.12.2023).
44. **Levin 1968:** M. I. Levin, *The Structure of the Russian Proverb*, Article from *Studies Presented to Professor Roman Jakobson by His Students*, <https://files.eric.ed.gov> (Last access: 05.07.2023).
45. **Lewandowska, Antos 2014:** A. Lewandowska, G. Antos, *Cognitive Aspects of Proverbs, Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies*, Hrisztalina Hrisztova-Gotthardt, Melita Aleksa Varga (eds.), De Gruyter, p.p. 162-182.
46. **Litovkina 2014:** A. T. Litovkina, *Anti-Proverbs, Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies*, Hrisztalina Hrisztova-Gotthardt, Melita Aleksa Varga (eds.), De Gruyter, p.p. 326-353.
47. **Litovkina 1996:** A. T. Litovkina, *Conducting a Paremiological Experiment in Hungary*, *Proverbium*, Yearbook of International Proverb Scholarship, №13, pp. 161-183.
48. **Liu 2003:** D. Liu, *The Most Frequently Used Spoken American English Idioms: A Corpus Analysis and Its Implications*, *TESOL Quarterly*, №37(4), pp. 671–700, <https://www.jstor.org/stable/3588217>
49. **Lundberg 1958:** G. A. Lundberg, *The Semantics of Proverbs, ETC: A Review of General Semantics* 15, no. 3, <http://www.jstor.org/stable/42581747> (Last access: 03.06.2023).
50. **Mieder 2022:** W. Mieder, *International Proverb Scholarship: An Updated Bibliography*, *Proverbium*, №39, pp. 373-410.
51. **Mieder 2013:** W. Mieder, “My tongue – is of the people”: The Proverbial Language of Friedrich Nietzsche’s Thus Spoke Zarathustra, *Proverbium* 30 (1), pp. 171-226.
52. **Mieder 2012:** W. Mieder, *International Proverb Scholarship: An Updated Bibliography*, *Proverbium*, №29, pp. 467-536, <https://hrcak.srce.hr/file/403132> (Last access: 21.11.2023).

53. **Mieder 2010:** W. Mieder, “Proverbs and Poetry are Like Two Peas in a Pod”: The Proverbial Language of Modern Mini-poems, Proceedings of the third interdisciplinary colloquium on proverbs, 8th to 15th November 2009, at Tavira, Portugal (R. J. B. Soares, O. Lauhakangas (Eds.)), pp. 263-289, Tavira: Tipografia Tavirense.
54. **Militz 1999:** H. M. Militz and K. U. Militz, Proverb-Antiproverb: Wolfgang Mieder's Paremiological Approach, *Western Folklore* Vol. 58, No. 1, pp. 25-32.
55. **Moreno 2005:** A.I. Moreno, An Analysis of the Cognitive Dimension of Proverbs in English and Spanish: The Conceptual Power of Language Reflecting Popular Beliefs, <http://www.skase.sk> (Last access: 31.05.2023).
56. **Norrick 1985:** N. R. Norrick, How Proverbs Mean, *Semantic Studies in English Proverbs*, Mouton Publisher, Berlin. New-York. Amsterdam.
57. **Pavlović 2016:** V. Pavlović, ANTI-PROVERBS IN ENGLISH AND SERBIAN, *FACTA UNIVERSITATIS Series: Linguistics and Literature* Vol. 14, №2, pp. 129-136.
58. **Permyakov 1973:** G. L. Permyakov, On the paremiological level and paremiological minimum of language, *Proverbium* №22, pp. 862-863.
59. **Sakhokia 1903:** Th. Sakhokia, *Les Proverbes Géorgiens*, Émile Lechevalier, Ernest Leroux, Paris.
60. **Schuster 1998:** E. Schuster, Proverbs: A Path to Understanding Different Cultures, *Extension Journal*, February, Volume 36, Number 1.
61. **Sergienko 2016:** O. S. Sergienko, English and Russian Equivalents to the Proverbs of Czech Active Paremiological Fund, PhD dissertation, Saint-Petersburg State University.
62. **Silverman-Weinreich 1981:** B. Silverman-Weinreich, Towards a Structural Analysis of Yiddish Proverbs (In “The Wisdom of Many: Essays on the Proverb” (W. Mieder, A. Dundes (eds.)), pp. 65-85), *Wisconsin: The University of Wisconsin Press*.
63. **Solano 2010:** R. M. Solano, Proverbs in the press: from ‘sentence-like units’ to ‘word-like units’, Proceedings of the 3rd Interdisciplinary Colloquium on Proverbs, pp. 310-320.
64. **Steyer 2014:** K. Steyer, Proverbs from a Corpus Linguistic Point of View, Introduction to Paremiology: A Comprehensive Guide to Proverb Studies, Hrisztalina Hrisztova-Gotthardt, Melita Aleksa Varga (eds.), De Gruyter, p.p. 206-228.
65. **Titelman 2000:** G. Titelman, *America’s Popular Proverbs and Sayings*, Random House Reference Publishing.
66. **Titelman 1997:** G. Titelman, *Popular Proverbs & Sayings*, Gramercy Books.
67. **Vanyushkina 2007:** N. Vanyushkina, Proverbial Language and its Role in Acquiring a Second Language and Culture: The Case of Russian, *Russian Language Journal / Русский Язык*, №57, pp. 109–133, <http://www.jstor.org/stable/43669791>
68. **Кипшидзе 1914:** И. А. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*, Санкт-Петербург, тип. акад. наук.
69. **Левин 1984:** И. Ю. Левин, *Проблемное пространство // Паремнологические исследования (Сб. Статей)*, М.: Наука, стр. 109-126.

ბეჭდური და ელექტრონული წყაროები: ლექსიკონები, ტექსტები

1. **ანდრონიკაშვილი 2014:** ლ. ანდრონიკაშვილი, ქართული ანდაზები, თბილისი.
2. **ასათიანი 1974:** ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
3. **ახალაია და სხვები 2015:** ნ. ახალაია, წ. ბაწაში, გ. ლორთქიფანიძე, ო. მემიშიში, ზ. ქავთარაძე, ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
4. **ბაქრაძე, დარჩიაშვილი 2008:** ი. ბაქრაძე, რ. დარჩიაშვილი, ქართული ხალხური ანდაზები, გამომცემლობა „პალიტრა“, თბილისი.
5. **ბილანიშვილი 1913:** ზ. გ. ბილანიშვილი, ანდაზები და სიტყვის მასალა, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. V, განყოფ. V, გვ. 86-114, ტფილისი.
6. **გაჩეჩილაძე 1909:** ს. გაჩეჩილაძე, ანდაზები, ჩქარა სათქმელი და ზმა, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I, განყოფ. IV, გვ. 97-100, ტფილისი.
7. **გვარამაძე 1913-1914:** კ. გვარამაძე, ანდაზები და სიტყვის მასალები, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, განყოფ. V, გვ. 276-307, ტფილისი.
8. **გვარამაძე 1895:** კ. გვარამაძე, მესხური ანდაზები და გამოცანები, ნაწილი I, კ. თავართქილაძის სტამბა, ახალ-სენაკი.
9. **გვიჩიანი, გვიჩიანი 1965:** ვ. გვიჩიანი, ე. გვიჩიანი, სვანური ანდაზები, „სოფლის ცხოვრება“, 5 მარტი, №53 (1243), გვ. 4, თბილისი.
10. **დავითიანი 1973:** ა. დავითიანი, სვანური ანდაზები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
11. **დანელია, ცანავა 1991:** კ. დანელია, ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II (მეგრული ტექსტები), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
12. **ერთელიშვილი 2002:** ფ. ერთელიშვილი, ძალა და აღმართი (იგავ-არაკები ქართული ანდაზების თემებზე) (რედაქტორი თ. ღვინაძე), გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.

13. **ერთელიშვილი 1963:** ფ. ერთელიშვილი (გამოქვეყნებულია ფსევდონიმით ფ. გიორგაძე), ძალა და აღმართი (იგავ-არაკები ქართული ანდაზების თემებზე), გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
14. **ერისთავი, ჭავჭავაძე 1873:** რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები. წ. 1, მელიქიშვილის და ამხ. სტ., თფილისი.
15. **ვაჟა-ფშაველა 1913:** ვაჟა-ფშაველა, ფშაველი და მისი წუთისოფელი, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, განყოფ. IV, გვ. 344-349, ტფილისი.
16. **თანდილავა და სხვები:** ზ. თანდილავა, ე. ზოიძე, ე. დავითაძე (შემდგ.), ქართული ანდაზები და გამოცანები, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
17. **ივერია 1889:** ძველი ზნე-ჩვეულებანი (ფელეტონი), გაზეთი „ივერია“, №51 (9 მარტი), გვ. 1.
18. **ივერია 1886:** ახალი ამბავი, გაზეთი „ივერია“, №84 (19 აპრილი), გვ. 2.
19. **კალანდაძე 2009:** გ. კალანდაძე, მსოფლიოს ხალხთა ანდაზები და გამოწინააღმდეგებები, გამომცემლობა „დიადემა“, თბილისი.
20. **კანდელაკი 1965:** ა. კანდელაკი, ქართული ანდაზები (ფშავ-ხევსურული; შეკრიბა ივ. ხორნაშულმა), „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი.
21. **კანდელაკი 1959:** ა. კანდელაკი, ქართული ანდაზები, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.
22. **კვირტია 2019:** მ. კვირტია, კვიმატი, მეორე შეესებული გამოცემა, თბილისი.
23. **კორძაია 2000:** ა. კორძაია, ლაპროკდ ური (სვანური ანდაზები), გამომცემლობა სომა პრეს („ჯალი“), თბილისი.
24. **კოტეტიშვილი 2005:** ვ. კოტეტიშვილი, მოუკრეფავნი (ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები), გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი.
25. **მეგრული 2020:** მეგრული ხალხური ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ლექსები, სიმღერები, გამომცემლობა „იალონი“, თბილისი.
26. **მემიშიში 2015:** ო. მემიშიში, ლაზური ანდაზები და იდიომები, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.
27. **მერკვილაძე 1898:** ს. მერკვილაძე, ხალხური ანდაზები და გამოცანები, შეკრებილი და გადმოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან, ტფილისი.

28. **მეტრეველი 1926:** ლ. მებრეველი, ქართული ანდაზები, ს.ს.მ.უ.ს. პოლ-ტრესტის 1-ლი სტ., ტფილისი.
29. **მიქაძე 2013:** მ. მიქაძე, ქართული ანდაზა ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული შესატყვისებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
30. **მსხალაძე 1984:** ა. მსხალაძე, ქართული (აჭარული) ანდაზები, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
31. **ნადარაია 2013:** ფ. ნადარაია, მარგალური მოკოეფი (მებრული ანდაზები).
32. **ნიჟარაძე 1913:** ბ. ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი), სვანური ანდაზები და გამოცანები, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, განყოფ. II, გვ. 98-100, ტფილისი (ტექსტის საინტერნეტო გამოცემა იხ. TITUS-ის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე: <https://titus.uni-frankfurt.de>)
33. **სამუშია 1990:** კ. სამუშია, ქართული ზეპირსიტყვიერება (მებრული ნიმუშები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
34. **სახოკია 1989:** თ. სახოკია, მებრული ანდაზები და გამოთქმები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVIII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
35. **სახოკია 1897:** თ. სახოკია, მებრული ანდაზები, „მოამბე“, №10, ოქტომბერი, გვ. 162.
36. **სვანური 1939:** სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსხემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.
37. **სვინტიძე 1955:** თ. სვინტიძე, ქართული ანდაზები, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.
38. **უმიკაშვილი 1964:** პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, პოეზია: სატრფიალო ლექსები, სასიმღერო ლექსები, აფორიზმები, შეგონებანი, შაირები, ანდაზები, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი.
39. **უმიკაშვილი 1937:** პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი I, ლექსები, ანდაზები, გამოცანები, „ფედერაცია“ სტამბა, თბილისი.
40. **უმიკაშვილი 1876:** პ. უმიკაშვილი, ქართული ანდაზები, მელიქიშვილის და ამხ. სტ., ტფილისი.
41. **ქართული ანდაზები 2016:** ქართული ანდაზები, გამომცემლობა „გლოსა“, თბილისი.
42. **ღლონტი 1957:** ალ. ღლონტი, რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის

- მასალები, სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი.
43. **შეროზია, მემიშიში 1994:** რ. შეროზია, თ. მემიშიში, ხალხური სიბრძნე (მეგრული და ლაზური ანდაზები), გამომცემლობა „მსგეფსი“, თბილისი.
44. **ჩავლეიშვილი 1977:** ალ. ჩავლეიშვილი, ანდაზები, აფორიზმები, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
45. **ჩოხარაძე და სხვები 2015:** მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. ფადავა, თ. მემიშიში, მ. ბარამიძე, ჯ. ვარშალომიძე, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, თ. შიოშვილი, მ. თავდგირიძე, ც. ნარაკიძე, ჯ. მიქელაძე, სარფი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი.
46. **ცისკარი 1853:** „სხტა და სხტა ანდაზანი ხმარებულნი ხალხთაგან“, ჟურნალი „ცისკარი“, №2, გვ. 43-58.
47. **ხალხური სიტყვიერება 1915-1917:** ხალხური სიტყვიერება, ლექსები, ანდაზები, სიტყვის მასალა და გამოცანები (ამოღებულია „ძველი საქართველოს“ I, II და III ტომებიდან), წიგნი I (ე. თაყაიშვილის რედაქტორობით), საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისი.
48. **ხორნაული 1984:** ვ. ხორნაული, ქართული ანდაზები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
49. **ჯავრიშვილი 1992:** ვ. ჯავრიშვილი, ანდაზები და ნაკვესები, „წიგნის ფაბრიკა“, თბილისი.
50. **ჯორჯანელი 2003:** კ. ჯორჯანელი, რჩეული ქართული ანდაზები, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
51. **Kosanoğlu 2020:** R. Kosanoğlu, Lazca Deyimler ve Atasözleri Sözlüğü, LAZURI ZİTPE DO DİDEPEŞİ NENAPE, SAGE Yayıncılık Rek.Mat.San.Tic.Ltd.Şti.
52. **Сборник 1881-1929:** Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК): <https://books.google.com.cu> (ბოლო წვდომა: 11.05.2023).
53. **Цагарели 1880:** А. А. Цагарели, Мингрельские этюды: Вып. 1-2. Санкт-Петербург: тип. Имп. Акад. наук.
54. **Цагарели 1877:** А. А. Цагарели, ИЗЪ ПОЪЗДКИ ВЪ ЗАКАВКАЗСКІЙ КРАЙ ЛЪТОМЪ 1877 ГОДА, Журнал Министерства народного просвещения (ЖМНП), №194, 208-231), <https://runivers.ru/upload/iblock/dbf/194.pdf> (ბოლო წვდომა: 20.11.2023).
55. <http://idioms.tsu.ge/> – ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა (ბოლო წვდომა: 03.04.2024).
56. <http://gnc.gov.ge/gnc/page> – ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ბოლო წვდომა: 22.02.2023).

57. <https://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm> – TITUS (Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien) მონაცემთა ელექტრონული ბაზა (ბოლო წვდომა: 13.03.2023).
58. www.ena.ge – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია (ბოლო წვდომა: 20.10.2020).
59. <https://www.ice.ge/liv/liv/lazur.php#> – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე განთავსებული ლექსიკონები (ბოლო წვდომა: 03.03.2023).
60. <http://www.nplg.gov.ge> – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდი (ბოლო წვდომა: 20.10.2020).
61. <https://unesdoc.unesco.org> (ბოლო წვდომა: 15.01.2024).
62. <https://lev.ge/> (ბოლო წვდომა: 05.07.2023).
63. <http://www.colloquium-proverbs.org/icp/en/> (ბოლო წვდომა: 25.05.2023).
64. <https://voyant-tools.org/?lang=en> (ბოლო წვდომა: 15.09.2023).
65. <http://nuchs-corpus.japanwest.cloudapp.azure.com/kwic/> (ბოლო წვდომა: 03.03.2024)
66. <https://archive.mpi.nl/tla/elan> (ბოლო წვდომა: 24.10.2023).

საარქივო მასალები

- საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის კოლ. 1813, №282, №284 – *გიორგი თევდორეს ძე ჟორდანიას* პირადი ფონდი.
- საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის კოლ. 1446, №689 – *ივ. გომელაურის* მიერ შედგენილი „ზეპირსიტყვაობის შემკრების წრის რეგული“.
- ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე №4856, გვ. 18-19.